

საქართველოს
ბავშვთა
საზოგადოებრივი
ჟურნალი

3 1962





ს. თ. ს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ ო ა მ ბ ე

19 თბილისი 62

ივლისი, აგვისტო, სექტემბერი.

№ 3 (21)



რედაქტორი: აკაკი ხორავა

საკრედიტო კოლეგია: ალიო აღამია, ვერიკო ანჯაფარიძე,
თამარ ბაქრაძე, ოთარ ევაძე, ლილი
ლომთათიძე, შალვა მებურიშვილი,
ნიწო შვანგირაძე.

თეატრების რეპერტუარში

მიმდინარე სეზონში, ჩვენი თეატრების რეპერტუარი, უმეტესად თანამედროვე დრამატურგების პაესებითაა გაპირობებული. შეიძლება ეს პიესები და სპექტაკლები სხვადასხვანაირად შეფასდეს, მაგრამ ერთი კი უდავოა, ამ ნაწარმოებების გზირი თანამედროვე ადამიანია. ეს ადამიანი სცენაზე მოდის ჩვენი რეალური სინამდვილის სიღრმიდან. მას გააჩნია რთული და ღრმა ფსიქოლოგია, ზნეობრივი სიმტკიცე და მაღალი ჰუმანიზმი.

ახალგაზრდა დრამატურგის გ. ხუბაშვილის „ზღვის შვილები“ უკვე მეორე სეზონია წარმატებით იდგმება რუსთაველის სახელობის თეატრში (რეჟისორი — ი. ხ. თუმანიშვილი, მხატვარი დ. თავაძე), ხოლო წელს მის განხორციელებას გვპირდება ბათუმის თეატრი.

იმ ახალ ნაწარმოებთა შორის, რომელთაც ზღვე გაეცნობა ჩვენი მაყურებელი, უნდა დავასახელოთ ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ (კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში). ეს ნაწარმოები მაგალითია იმისა, თუ როგორ ეძებს თეატრი თანამედროვე ადამიანის თემას. ამ ძიების დროს იგი მიმართავს ინსტენერებასაც. ნაწარმოები უბრალო საბჭოთა ადამიანების სულის სიღამაზეს გადაგვიშლის. მწერლისათვის ჩვეული მახვილი ჰუმორითა და ნაციონალური კოლორიტულობით არის აქ გაღმოცემული სიყვარულის, მარად უკვლავი ვრძობა, სიყვითასკენ სწრაფვაში ხედავს მწერალი ადამიანის სიბრძნეს. მისი ცხოვრების აზრსა და მიზანს. სწორედ ამ ჩანაფიქრით შეუღლა მარჯანიშვილის თეატრი ნაწარმოებზე მუშაობას. ინსტენების ავტორი, ნ. დუმბაძესთან ერთად, რეჟისორი გ. ლორთქიფანიძეცაა. მათი თანამშრომლობა შესანიშნავი გამარჯვებით დაგვირგვინდა, როცა თეატრმა განახორციელა ნ. დუმბაძის პოპულარული მოთხრობა თანამედროვე თემაზე „მე, ბებია, ილიკა და ილარიონი“. ყველა წინაპი-

რობა არის ვიფიქროთ, რომ ეს ცდაც სასიხარულო შედეგებს მოუტანს თეატრის კოლექტივს. მას დგამს რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, მხატვრულად აფორმებს ო. ლითანიშვილი.

ამ პიესით ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრსაც აქვს განზრახული მოუოხროს მაყურებელს უბრალო ადამიანების სიყვარულის, ურთიერო პატივისცემისა და მათი მაღალი პატრიოტული გრძნობების შესახებ.

დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც გულისტკივილით აედინა ვადით ჩვენი დრამატურგების ნაკლებ აქტიურობას და იმ ნიქერი მიწრელების წასვლას თეატრიდან, რომელთა სახელებთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეატრალური ხელოვნების ადრინდელი მიღწევები. სიმპტომატურია, რომ თეატრებში ახალი თანამედროვე თემებით ბრუნდებიან ძველი დრამატურგები: მ. მრეველიშვილი, პ. კაკაბაძე, ი. ვაყელი, ვ. პატარია, პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა“ საკოლმეურნეო და საწარმოო ცხოვრების ფონზე იშლება.

ავტორი მწვავე სატირული ფორმით ამხელს ჩვენს ცხოვრებაში შემორჩენილ მეშანობას, კარიერაზმს, ბუროკრატიულ უგულისყურობას და ადამიანთა სხვა მანკიერ თვისებებს. აქვეა მოცემული მოწინავე მშრომელთა ნათელი სახეები.

ამ ნაწარმოებში შენარჩუნებულია ჩვენი ცნობილი დრამატურგის მაღალი ლიტერატურული დონე, ტექსტუალური მხარის არაჩვეულებრივი ხატოვანება, მოცემულია კოლორიტულ ნაციონალური სახეების შთელი გაღრევა, რაც აქტიორული განსახიერებისათვის შესანიშნავ მასალას იძლევა.

თანამედროვე თემაზე დაწერილი ამ კომედიური ნაწარმის პიესაზე თავის არჩევანი საპართლიანად შეაჩერეს ქიათურის, ქუთაისის, მარჯანიშვილისა და სოხუმის თეატრებმა. სასიხარულოა ის გარემოებაც, რომ ჩვენს

თეატრში მოვიდნენ ცნობილი პროზაიკოს-ბიცი: ლ. ქიაჩელი (ზუგდიდის თეატრში „გვა-დი ბიგვა“) დ. შენგელია (სოხუმის ქართულ თეატრში: „ბათა ქეჩია“), გრ. აბაშიძე (ქუთაისის, სოხუმის თეატრებში „მოგზაურობა სამ დროში“); ო. ჩხეიძე და სხვა.

მიმდინარე სეზონის რეპერტუარისათვის ყველაზე მეტად საგულისხმო მიანიც ის არის, რომ თანამედროვეობის თემით მოვიდა ნიქიერი ახალგაზრდობა ო. იოსელიანის, ვ. ხუხაშვილის, ო. გობრონიძის, რ. მამულაშვილისა და გ. ბერიაშვილის სახით.

ო. იოსელიანის პიესა „ადამიანი იბადება ერთხელ“ ასახავს საბჭოთა ხალხის სულიერ შემართებას სამამულო ომის წლებში. ნაწარმოები გამსჭვალულია თანამედროვე ადამიანის მორალით და დიდი ჰუმანიზმით. მწერალი შესანიშნავი პოეტური ხერხებით ვადმოგვცემს ქართველი ხალხის წვლილს მტერზე გამარჯვებაში. პიესის რეპეტიციები უკვე დასასრულს უახლოვდება რუსთაველის სახელობის თეატრში (რეჟისორი დ. ალაქისძე, მხატვარი დ. თავაძე, კომპოზიტორი არჩ. ჩიკაძე).

ინტერესმოკლებული არ არის ის გარემოებაც, რომ ო. იოსელიანის პიესის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა თეატრმა (გორის, თელავის, სოხუმისა და სხვა თეატრებმა).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მარჯანიშვილის თეატრს გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს თანამედროვეობის თემაზე დაწერილი ნოველები, ოთხ სხვადასხვა ნოველაში გაერთიანებულია თემები ახალგაზრდობა, შრომა და სიყვარული. ნოველებს ინსცენირების ავტორია ახალგაზრდა ბელეტრისტი ო. გობრონიძე, (რეჟისორი არჩ. ჩხარტიშვილი). ნაწარმოები აყენებს მთელ რიგ საკითხებს შრომის ახალგაზრდობის კოლექტიური სულისკვეთებით აღზრდის, სიყვარულისა და თანამედროვეობის სხვა საყურადღებო პრობლემების შესახებ.

მიმდინარე თეატრალური სეზონის რეპერტუარში თანამედროვეობა კარგად აქვს წარმოდგენილი მესხიშვილას სახელობის ქუთაისის თეატრს, სადაც უმეტესად ქართველ ავტორთა ნაწარმოებებია აქცენტირებული, გარდა ზემოთ დასახელებული რამდენიმე პიესისა, განზრახულია დაიდგეს დ. კვიციანიძის „მამის კვალზე“, ი. ვაკელის „ხელაშვილებს

ოჯახი“. როგორც ვხედავთ, რეპერტუარის შედგენისას თეატრი მთავარ ყურადღებას აქცევს ორიგინალურ მქნალებზეთან ერთად რეპერტუარში შეიტანოს თანამედროვეობის თემაზე დაწერილი არაქართული სალუკეთესო პიესებიც კი. ასეთია, მაგალითად, ომის წინაღმდეგ მიმართული ცნობილი დრამა ბრესტისა „დღეა კლრაიკი“ და ა. კრონინის „პროუდის ციხე“ (მარჯანიშვილის თეატრში), ჯ. კლაგარის „ცხოვრებისაგან შერისხულნი“, რომელიც ამხელს თანამედროვე იტალიური ყოფის მანკიერებას, ადამიანთა სიღუბეჭირებს და ზნეობრივ დაქვეითებას. ნაწარმოები სანტერესია და რამატურგიულად, სუბტილურად. მას რუსთაველის თეატრში დგამს რეჟისორი მიხ. თუმანიშვილი.

ამავე თეატრს განზრახული აქვს წარმოადგინოს ცნობილი ინგლისელი დრამატურგის ჯ. ოსბორნის „მოიხედე მრისხანების ეამს“, რომელიც ინგლისის ომის შედეგად მოხდის სულიერი კრიზისის გამოხატავს, და ჩეხი დრამატურგის ვ. ბლუაჩკის „მესამე სურვილი“ რეჟისორი (რ. სტუოლა) პიესის მთავარი აზრი ისაა რომ ადამიანს არ აქვს უფლება ისარგებლოს ცხოვრების სიკეთით, თუ ეს უკანასკნელი მან არ დაიმსახურა თავისი კეთილსინდისიერებითა და შრომით.

მიმდინარე სეზონში საინტერესო რეპერტუარის შედგენით გამოირჩევიან რუსთაველის, მარჯანიშვილის, ქუთაისისა და სოხუმის თეატრები. მათ რეპერტუარში შეიტანეს თანამედროვეობის ამსახველი ისეთი პიესები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ჰუმანიზმით მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსითა და საინტერესო დრამატურგიული სრულყოფით. ეს არის ამ სეზონის ხარისხობრივად მაღალი რეპერტუარი.

გრიბოედოვის სახელობის თეატრმა წელს სეზონი სწორედ თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ჰიესით გახსნა. ესაა დ. უგრუშოვის „უცხოური ჩემოდანი“, რომელიც დაცინის შეზღუდულ ინტერესებს და მეშინიურ ეგოიზმს. თეატრს მიმდინარე სეზონში განზრახული აქვს განახორციელოს ა. მილერის (რეჟისორი მიხ. თუმანიშვილი) უ. ვიტსონის (რეჟისორი არჩ. ჩხარტიშვილი) პიესები, ბუაჩაძის „ეზოში შავი ძაღლია რეჟისორი (ს. ქელიძე)“, ი. ზლობინისა და მ. სელენზოვის „მშენიერი დღე“.

როგორც ვხედავთ, გრიბოედოვის თეატრ-



ში ეს სეზონი არ უნდა იყოს ღარიბი თანამედროვეობის თემით. ახლა როგორც ვიცით, გამოჩნდა ახალი პიესები ვ. როზოვის, ა. არბუზოვის, ლ. ზორინისა და სხვათა, მაგრამ ჩვენი მაცურებელი მათ ამ თეატრში ჯერ-ჯერობით ვერ იხილავს.

ჩვენი დედაქალაქის მოზარდ მაცურებელთა ქართულმა და რუსულმა თეატრებმა გასულ სეზონში გვიჩვენეს თანამედროვე თემებზე შთამაგონებელი სპექტაკლები შექმნის უნარი. ამის დასტურია ვ. გოგოლაძის „წეროები“

და ლ. ისარევის „ყოველივე ეს იოლი დია“. ამ სპექტაკლებში ორივე თეატრმა მოამყვანა კარგი შემოქმედებითი ძალა, სურვილი, ენერჯია და ნებისყოფა. მიმდინარე რეპერტუარში რუსული მოზარდმაცურებელთა თეატრის მიერ თანამედროვეობის თემებზე შემქნილმა სპექტაკლებმა, ვ. ლუბიმოვის „ბავშვებს თექვსმეტ წლამდე“, (რეჟისორი მ. ოლშანიცკაია) და ლ. გარაბინის „პაკეტი აფრიკიდან“, (რეჟისორი მ. ვახნიანსკი), მაცურებლის კარგი შეფასება მიიღეს.

მოძმე რესპუბლიკების თეატრების გასტროლები თბილისში



მოსკოვის თეატრის «სოვრემენნიკის»

სამატაკლავოს განხილვა

1962 წ. 30 ივნისს გრიბოედოვის სახელობის თეატრში სტუმრების სპექტაკლის შემდეგ შედგა მოსკოვის თეატრის „სოვრემენნიკის“ გასტროლების დამაჯამებელი დისპუტი. დისპუტი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მიხ. მრეველიშვილმა. მან აღნიშნა რუსული პოეზიის დეკადისა და „სოვრემენნიკის“ გასტროლების წარმატება საქართველოში და ის მოსაზრებანი და სურვილები, რომლებიც აღიძრა ჩვენს მაყურებელში.

სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ნათელა ურუშაძეს.

მომხსენებელმა დაიწყო იმით, თუ რა ძნელია საგასტროლოდ ჩამოსული თეატრის სპექტაკლების შესახებ ლაპარაკი, რამდენადაც ერთხელ მეტად არ ხერხდება წარმოდგენის ნახვა. მისი აზრით, „სოვრემენნიკის“ შეხვედრა თბილისის მაყურებელთან მოეწყო მაშინ, როდესაც თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და წამყვანი არტისტი ი. ტაბაკოვი ტელევიზიით გამოვიდა და ტელემაყურებლებს უამბო—როგორ შეიქმნა ეს თეატრი, რა მიზნებს ისახავს, რაზე ოცნებობს... ეს გადაცემა ისეთივე სადა და უბრალო იყო, აზრი ისეთი ნათელი და ამაღლებელი, როგორიც შემდგომ ამ თეატრის სპექტაკლები სათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი.

პირველ წარმოდგენად სტუმრებმა თბილისის მაყურებელს ა. ზაკის და ი. კუზნეცოვის „ორი ფერი“ უჩვენეს. მსახიობები ერთობლივად შეთანხმებულად მოქმედებდნენ სცენაზე. სცენური სიტუაციის სიმართლის ემსახურება „სოვრემენნიკში“ ყველა—რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი. ყველა ესენი მსახიობს ემსახურებიან, მსახიობებმა კი—ერთმანეთს. სპექტაკლის დედააზრი მასში მონაწილე ყველა ხელოვანის ერთობლივ შემოქმედებაში ყალიბდება. ნ. ურუშაძის აზრით, ეს თეატრის ძირითადი შემოქმედებითი პრინციპია. ამ დებულების ნათელსაყოფად მას მოჰყავს მაგა-

ლითები, შემდეგ გადადის „შიშველი მეფის“ განხილვაზე და ხსნის მისი წარმატების საიდუმლოებას. საგანგებოდ ჩერდება მომხსენებელი შესანიშნავ მსახიობ ე. ევსტიგნიევიზე. „ორი ფერი“ და „შიშველი მეფე“ მას „სოვრემენნიკის“ შემოქმედებითი პრინციპების საუკეთესო ნიმუშებად მიაჩნია. ნ. ურუშაძე შემდეგ აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული ორი წარმოდგენის შემდეგ მომდევნო წარმოდგენათა მხატვრულ ხარისხს ერთგვარი დაქვეითება დაეცყო. ესენია: ა. ვოლოდინის „ხუთი საღამო“ კ. სიმონოვის „მეოთხე“, ელჟაროღე—ფილიპის „არავინ“, შ. ბლატეკის „მესამე სურვილი“ და ზღაპარი „მეთოფლია“ მიუხედავად ცალკეული მიღწევებისა, ვერც ერთი ამთავანი ვერღვს პირველი ორი წარმოდგენის დონეზე. მომხსენებელს მოჰყავს სპექტაკლებიდან—„მეოთხე“ და „მესამე სურვილი“ რამდენიმე ნიმუში ამგვარი დაქვეითების მიზეზებისა, ეს მიზეზები, მომხსენებლის აზრით, მოწმობენ თეატრის ძირითადი პრინციპებიდან გადახვევას, ზოგჯერ კი უკან დახვევას. ნ. ურუშაძე საგანგებოდ ჩერდება „სოვრემენნიკის“ ახალ დადგენაზე—ა. ვოლოდინის „უფროსი და“, რომლის პროგრამაც სტუმრებმა თბილისის მაყურებელს უჩვენეს. ეს სპექტაკლი მას „სოვრემენნიკის“ შემოქმედებითი პრინციპის გამარჯვებულად მიაჩნია, რადგან ყველაფერი მსახიობის შემოქმედებას ემსახურება. განსაკუთრებით აღინიშნება მსახიობ ლ. ტოლმაჩოვის დიდი წარმატება უფროსი დის როლში.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „სოვრემენნიკის“ მიმართ ქართველმა მაყურებელმა დიდი ყურადღება გამოიჩინა არა იმიტომ, რომ მსგავსი არაფერი უნახავს, ან ნაკლი ვერ შეინიშნა, არამედ იმიტომ, რომ დაინახა ის, რაც მთავარია რუსულმა ამ ყველაზე ახალგაზრდა კოლექტივისათვის: არა-გულგრილი დამოკიდებულება სინამდვილისა-



დმი, მწვავე ინტერესი თანამედროვეობის ამაღლებელი საკითხებისადმი, სიმართლის ძიება, ერთი მრწამსი შემოქმედებაში, უსახ-ღვრო სიყვარული საკუთარი საქმისადმი. ნ. ჟრაშიძე უსურვებს თეატრ „სოვრემენიკს“, რომ ეს თვისებები კიდევ უფრო განამტკიცოს, იმიტომ რომ ამგვარი რწმენა და სიყვარული მომავალ გამარჯვებათა ყველაზე მყარი საფუძველია.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს რეჟისორ მ. ოლზანიცკიას, რომელმაც თავისი გამოცემა დაიწყო ა. ლუნაჩარსკის ცნობილი მიმართებით სტანისლავსკისადმი. მან აღნიშნა, რომ ბოლო ხანებში მომრავლდა ერთფეროვანი თეატრი „ტყულები“. ამიტომ „სოვრემენიკის“ დაბადება თეატრის ხანგრძლივი დაავადებიდან გამოჯანმრთლებად უნდა მივიჩნიოთ. მთავარი ისაა, ეს თეატრი თანამედროვე პოზიციებიდან წყვეტს ჩვენი დროის მაჭირბოროტო საკითხებს. მ. ოლზანიცკიას მიიჩნია, რომ ხშირად „სოვრემენიკის“ კოლექტივი უფრო მწვავედ წყვეტს ამა თუ იმ პრობლემას, ვიდრე დრამატურგს აქვს პიესაში დასმული და გადაწყვეტილი. ნიმუშად მოჰყავს ა. ვოლოდინის პიესები, რომლებიც ასე პოეტურად წაიკითხა „სოვრემენიკმა“. მისი აზრით, ამ დადგმებით თეატრი ეკამათება ა. ვოლოდინის მოწინააღმდეგეებს და კამათიდან გამარჯვებული გამოდის. განსაკუთრებით ეს ეხება სპექტაკლ „უფროს დასს“, რომლის დადგმავიც თეატრალური ხელოვნების უფაქიზესი საშუალებებია გამოყენებული. მ. ოლზანიცკია აღნიშნავს, რომ „სოვრემენიკი“ რუსული თეატრის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს, ტენდენციური და თეატრალურია ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

შემდეგ სიტყვით გამოდის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვეროიკო ანჯაფარიძე. იგი მიესალმება ახალგაზრდა კოლექტივს, რომელიც, მისი თქმით, თეატრისადმი ხელახლა „გაუღვიძა მადა“, და რომელმაც შეამოთა მაყურებელი და ხელოვნების მუშაკები, კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ვეროიკო ანჯაფარიძე აღტაცებით ლაპარაკობს თეატრის მთავარ რეჟისორ ო. ფერემოვიზე, მსახიობებზე—ო. კვაშიზე, ე. ვესტრენგეზე, ლ. ტოლმაზოვაზე. მას მიიჩნია, რომ დრამატურგი ა. ვოლოდინი დიდი მადლობელი უნდა იყოს „სოვრემენიკის“ მსახიობებისა, რომლებმაც ასე ღრმად და

პოეტურად გააცოცხლეს მისი პიესა „შეშინების და“.

რეჟისორი ოთ. ანდრონიკაშვილი მთლიანად უერთდება გამოსულ ორატორთა აზრს, ხაზგასმით აღნიშნავს თეატრის ხელმძღვანელის ე. ფერემოვის, როგორც რეჟისორისა და აქტიორის, დამსახურებას. იგი იწონებს წარმოდგენებს, მაგრამ ერთი დაღება—ე. ჰემინგუის „მეხუთე კოლონა“ შეუფერებლად მიიჩნია ამ თეატრის შემოქმედებითი თავისებურებისათვის. ოთ. ანდრონიკაშვილის აზრით, თეატრმა პიესის შესაფერისი გასაღები ვერ მოძებნა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მას მიიჩნია ის გარემოება, რომ პიესა სცენური არ არის. ორატორი ყურადღებას ამახვილებს სპექტაკლზე, რომელიც ძალიან მოსწონს—ეს არის ელუარდო-დე-ფილიპოს „არაინი“. ოთ. ანდრონიკაშვილის აზრით, პიესა თავისი დიდი სიყვარულით უბრალო ადამიანისადმი „შეშენილი მფის“ და „უფროსი დის“ მხატვრულ დონეს აღწევს.

საქართველოს სახალხო არტისტი დ. ალექსიძე უერთდება აზრს ო. ფერემოვის დიდი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი დამსახურების შესახებ. ამბობს, რომ ახალგაზრდა კოლექტივმა ქემშარიტად ააღვლეა ქართველი მაყურებელი. იგი იხსენებს სამხატვრო თეატრის სპექტაკლებს და ვახტანგოვის „პრინცესა ტურანდოტისაგან“ მიღებულ თავის პირველ შთაბეჭდილებებს. ორატორი აღტაცებით ლაპარაკობს ლ. ტოლმაზოვაზე, უსურვებს მთელ კოლექტივს პიესისა და რომანტიკის შენარჩუნებას, იმ დღეის შენარჩუნებას, რომელიც წამყვანია ამ თეატრისათვის: ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის.

სიტყვას ამბობს „სოვრემენიკის“ მთავარი რეჟისორი ო. ფერემოვი. იგი ამბობს, რომ თეატრს საფუძველი ჩაუყარა თანამოაზრეთა ჯგუფმა და ყველა ბრძოლა მისი შენარჩუნებისათვის ერთსულოვანი იყო. ო. ფერემოვი მოკლედ უამბობს დამსწრე საზოგადოებას, თეატრის დასის შექმნის ისტორიას. საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველოში სახელმწიფო პარტიულმა ორგანოებმა, ხელოვნების მუშაკებმა და მთელმა ხალხმა უღირსად გამოიხსიერი და მოკლედულა გამოიჩინეს თეატრისადმი. იგი აღტაცებულია ქართველი ხალხის უნარით პოეტურ შეგრძნებაში, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა



ხელოვნების მუშაკებთან და მაცურებლებთან შეხვედრებში. ო. ეფრემოვის რწმენით, საქართველოში გლეხსაც კი არ შეუძლია არაბო-ეტურად გამოთქვას აზრი, აქ იგრძნობა გულ-ახდილობა და უშუალობა. ქართული საზოგადოებრიობის შეუნიღებელმა ინტერესმა ჩვენი თეატრის მიმართ იმაში დაგვარწმუნა, რომ ახალ რუსულ თეატრს საქართველოში ნამდვილი მეგობრები ჰყავს.

დასასრულ ო. ეფრემოვი მადლობას უხდის საქართველოს ხელოვნების მუშაკებს გულის-ხმიერებისათვის, ფრთხილი და მეგობრული შენიშვნებისათვის. მადლობას უხდის ქართველ მაცურებელს ყურადღებისათვის. ბოლოს, „სოფრემენიკის“ მთელი დასი, მადლობის ნიშნად, ფეხზე დგება და ყველა ერთად წარმოსთქვამს იმ სიტყვას, რომელიც მალე შეხვედრის ნიშანია: „ნახვამდის“.





დრამატული თეატრის გასტროლები თბილისში

ამა წლის ივნისში, თბილისის რკინისგზის სადგურზე თავი მოიყარეს როგორც თეატრების, ისევე საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის წარმომადგენლებმა. აი, ბაქოს მატარებელიც ჩამოდგა. მასპინძლებმა ბაქანზე გადმოსულ სტუმრებს გადასცეს ყვავილების თაიგული, ხოლო თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მიხეილ მრეველიშვილმა წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა.

შემდეგ, მიხეილ მრეველიშვილმა, პრეზიდენტის პასუხისმგებელმა მდივანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დავით ჩხეიძემ, პრეზიდენტის წევრებმა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პავლე ფრანგიშვილმა და ვიქტორ ნინიძემ, პრეზიდენტის შემოქმედებითი განყოფილების რეფერენტებმა — ლილი ლომთათიძემ და ნიკო კველიშვილმა, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა იბრაჰიმ ისფანოღლიმ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნიკო გოძიაშვილმა და გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ პასუხისმგებელმა მდივანმა რ. ალიევმა სტუმრები ვააცილეს თბილისის შაუმიანის სახ. სომხურ დრამატულ თეატრამდე. მეორე დღეს დრამატურგ სიმონ მთვარაძის, დავით ჩხეიძის, ვიქტორ ნინიძისა და ნიკო გოძიაშვილის თანხლებით კიროვპადის მთელმა კოლექტივმა ინახულა მირზა ფატალი ახუნდოვის, შალვა დადიანისა და სუნდუქიანის საფლავები და შეამკეს ისინი გვირგვინებით.

კიროვპადის თეატრმა შაუმიანის სახელობის თეატრის შენობაში დაიწყო გასტროლები და თბილისის მსურველებს უჩვენა აზერ-

ბაიჯანის სახალხო პოეტის სამედვერდუნის „ვაგიფი“.

წარმოდგენის დაწყებამდე თეატრის კოლექტივს მიესალმნენ სახალხო არტისტები — ვიქტორ ნინიძე, პავლე ფრანგიშვილი და იბრაჰიმ ისფანოღლი, რეჟისორი ნიკო გოძიაშვილი, თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი განყოფილების რეფერენტი ნ. კველიშვილი, ჟურნალისტი რ. ალიევი და ლიტერატორი იბრაჰიმოვი. თეატრალური საზოგადოების მიერ სტუმრებს გადაცემა ყვავილების კალათი.

სამადლობლო სიტყვით გამოვიდა კიროვპადის თეატრის დირექტორი, აზერბაიჯანის სახალხო არტისტი ალიშპერ ხეიფი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთელი კოლექტივი ბედნიერი და კმაყოფილია იმის გამო, რომ მათ მოუხდებათ ძველი მეგობრების, თბილისის მსურველების წინაშე შემოქმედებითი მუშაობით გამოხსლა. ძველი მეგობრების, — ამბობს ხეიფი, — იმიტომ, რომ ბევრი ჩვენგანი თბილისში ვართ დაბადებული და გაზრდილი. შემდეგ დაიწყო წარმოდგენა.

სწორად მოიქცა თეატრის ხელმძღვანელობა, რომ თეატრის გასტროლები დაიწყო პესა „ვაგიფით“, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ პესაში ხაზგასმითაა აღნიშნული ქართველი ხალხის მეგობრობა და დახმარება აზერბაიჯანის ხალხთა მიმართ უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში და, მეორეც, სპექტაკლში თითქმის მთელი კოლექტივია ჩამბული, ყველა სპექტაკლმა (სამედვერდუნის „ვაგიფი“, საბიტ რასიმანის „აიღული ჯვარს იწერს“, ალტაი მამედოვის „ერთი მიწა-წყლისანი“, ბახთიარ ვიხაზადეს „სინდისი“,



მაჯადა შამხალის „დედამთილი“, ჯაბარ ჯაბარლის „ნასრელი შახი“, სულეიმან რეს-ტამის „ყაჩაღ ნაბი“) ცხადყო თეატრის კო-ლექტივის შემოქმედებითი უნარი და შესაძლე-ბლობა. სამივე თაობის მსახიობებს, რომლე-ბიც მონაწილეობენ წარმოდგენებში, ეტყო-ბოდა შეხმატებულება და ამ ვარგებობამაც უზრუნველყო თეატრის და მარჯვები. ეს მსახი-ობებია: აზერბაიჯანის სახალხო არტისტები: ისმაილ ტალიბლი, ალიახბერ სეიფი, აშრაფ იუსუფ ზადე, სოლმაზ ორლინსკაია რამზია ვეისალოვა, მამედ ბურჯალიევი, დამსახურე-ბული არტისტები: ს. სახანზადე, მ. ჯაფა-როვა, ა. აბაროვი, მუსტაფაევალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი რ. ბაგიევა და სხვ. თეატრის წარმატებანი მიეწერება მთა-ვარ რეჟისორს, აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე ხასან აგეევს, რეჟი-სორ-დამდგმელს, აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. სულტანოვს, მხატვრებს—ხელოვნებ-ს დამსახურებულ მოღ-ვაწეს ბახრამ აფენდიევს და რზა მამედოვს. ყვე-ლა სპექტაკლს ესწრებოდნენ თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარე მიხეილ მრგელიშვილი, პრეზიდენტის წევრი პავლე ფრანგოშვილი, რეჟისორი ნიკო გოძი-შვილი, ჟურნალისტი რ. ალიევი და თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი განყო-ფილების რეფერენტი ნიკო კველიშვილი.

4 ივლისს თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითა განყოფილებამ მოაწყო სა-ვასტროლო წარმოდგენების განხილვა. დის-პუტი შესავალი სიტყვით გახსნა მიხეილ მრე-ელიშვილმა. მან აღნიშნა აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხთა ისტორიულ მეგობრობა, ხაზი გაუსვა ხელოვნების აყვავებას როგორც, საერთოდ, საბჭოთა კავშირში, ისევე აზერბაი-ჯანისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკებში. მოხსენება აზერბაიჯანულ ენაზე წაიკითხა ჟურნალისტმა რ. ალიევმა. მან დეტალურად გააჩნია ყველა სპექტაკლი. აღნიშნა თეატრის მიღწევები და სუსტი მხარეები. მოხსენების შე-მდეგ საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფრო-სის მოადგილემ თეატრალურ დარგში თეგზიზ ჯანელიძემ სტუმრებს გადასცა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბ-ლიკურ კომიტეტის სიგელი.

თანამოსწენებით რუსულ ენაზე გამოვიდ-ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რომ-მელმაც განსაკუთრებით შეაქო მსახიობი აბასოვი. რეჟისურას დაუწუნა მასობრივი სცენები და ზოგიერთი გაუმართლებელი მი-ზანსცენა. განსაკუთრებით აღნიშნა სპექტა-კლებში აზერბაიჯანელი ხალხის მელიოდების გამოუყენლობა და სხვა.

თანამოსწენებით გამოვიდა რესპ. სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა წარმოდგენებზე—„მე-ლა და ყურძენი“ და „ყაჩაღ ნაბი“. მან და-დებითად შეაფასა ისინი და მიუთითა ხარვე-ზეზზედც სახელდობრ, გააკრიტიკა წარმო-დგენების მხატვრული ვაფორმება.

ქართულ ენაზე სიტყვა წარმოთქვა საქარ-თველოს თეატრალური საზოგადოების შემო-ქმედებითი განყოფილების რეფერენტმა ნიკო კველიშვილმა, რომელიც წევრი ალტაი მიმე-ლოვის პეისას—ერთი მიწა წყლისანი“ კა-მათში მონაწილეობა მიიღეს ლიტერატორმა იბრაჰიმოვმა და მყურებელთა ორმა წარმო-მადგენელმა. საბოლოო სიტყვებით გამოვი-დნენ თეატრის დირექტორი, აზერბაიჯანის სახალხო არტისტი ალიახბერ სეიფი და თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ხასან აგეივი. მათ მადლობა გადაუხადეს თეატრალურ საზოგა-დოებას სავასტროლოს სპექტაკლების ობიექ-ტური განხილვის გამო და აღუთქვეს, რომ კოლექტივი მთელი რიგ შენიშვნებს გაითვა-ლისწინებს მომავალ შემოქმედებითს მუშაო-ბაში.

როგორც სადგურზე შეხვედრა, აგრეთვე წარმოდგენების ზოგიერთი სცენა და მათი განხილვა გადაღებულ იქნა საქართველოს ტელეხედვის მიერ. განხილვის მეორე დღეს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის კაბინეტში გაიმართა საუბარი პრეზიდენტის წევრებსა და თეატრის ხელმძღვანელებს შო-რის.

თეატრი, ყოველდღე ბარალელურად მომსა-ხურობას უწყვედა აზერბაიჯანლებით დასახ-ლებულ საქართველოს პუნქტებს. ვასტრო-ლების შემდეგ თეატრის მთელი კოლექტივი ათ-ათი დღით გაემგზავრა ჯერ მარნეულში, შემდეგ—ბოლნისში.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 13 ივლისს პლენარის სახელობის კლუბში მოაწყო ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა.

განხილვა გახსნა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა, თეატრმცოდნე ნინო შვანიძის მიერ. მან თქვა: „მოცემ რესპუბლიკებიდან თეატრალური კოლექტივების ჩამოსვლა თბილისში ვასცდა ჩვეულებრივი გასტროლების ჩარჩოებს. იგი ჩვენს ქალაქში ყოველთვის ხალხის ურყევი მგობრობის ფართი დემონსტრაცია ხდება. თეატრალური კოლექტივების ასეთი შეხვედრები გადაიქცა შესანიშნავ ტრადიციად, რაც ხელსუწყობს საბჭოთა კავშირის თეატრების ურთიერთობის განმტკიცებას. ეს კი თავისთავად ამდიდრებს ჩვენს კულტურას“.

მომხსენებელი თემაზე „საგასტროლო სპექტაკლები“ გამოვიდა მ. გოგოლაშვილი.

მომხსენებელმა განიხილა საგასტროლო რეპერტუარი და თეატრს მოუწონა ორიგინალური დრამატურგიაზე შექმნილი სპექტაკლები.

მამსუროვის პიესა „ხასანას“, — თქვა მომხსენებელმა, — გადაეყვართ ორი ხალხის შორეულ წარსულში, რასაც შეეძლო ჩვენში დიდი ემოციური დაინტერესება არ გამოეწვია, მაგრამ სპექტაკლი საინტერესო გახდა და მსურველებმა თბილად მიიღო იგი. ეს წარმატება გაპირობებულია, ჯერ-ერთი, პიესის თანადროულობის თვალთშეუპყრობით, სამომბლოსადმი სიყვარულის თემის წინაპლანზე წამოწევით და, მეორეც, ახალგაზრდა მსახიობის — ვ. ვალაგოვის მიერ ხასანას როლის შესანიშნავი შესრულებით.

მსახიობმა დაიპყრო მსურველი სცენური მომხიბვლელობით, სხეულის პლასტიკურობით და განხორციელებული გმირის პოეტური იერით. მომხსენებელმა ასევე ყურადღება შეაჩერა მსახიობ ძუკავას მიერ ხასანას დედის როლის განსახიერებაზე. სწორედ ასეთი ძლიერი ნებისყოფის ქალს, რომელმაც თავის ერთადერთი ვაჟი შვილისათვის გასწირა საკუთარი სიცოცხლე, შეეძლო ეროვნული გმირის აღზრდა. მსურველი არაა თანაურგაძნობას ასეთ დედას, არამედ მისთან ეროვნულ განიცდის ვაჟის ბედს.

სპექტაკლში ყველაზე მეტად ძვირფასი ის არის, რომ მსურველს დიდხანს მიჰყვება ფიქრი იმ ხალხის ბედზე. ვინც განიცადა ჩაგვრის სიმძიმე, განიცადა ბრძოლითა და განთავისუფლებით მიღებული სიხარული. მომხსენებელმა მალაღობა შეუძახა მისცა სპექტაკლის დამდგმელის ბრძოლას რეჟისორულ ნამუშევარს.

თუ ამ სცენურმა ნაწარმოებმა ჩვენს მსურველს გააცნო ჩრდილოეთ ოსეთის შორეული წარსული, — განაგრძობს მომხსენებელი. — სამაგეროდ, ბრიტანეთსა და სალამოვის პიესა „ორი ქორწილი“ გვიამბობს საკომედიურ სოფლის ნათელი სიცოცხლით აღსავსე ცხოვრებაზე. გონებამახვილური სიტუაციები, ცოცხალი დიალოგები სპექტაკლს კარგ პირობას უქმნიან გამარჯვებისათვის.

კარგად შეჩვენებული მსახიობებმა განაპირობეს სპექტაკლში ბევრი ნათელი და საინტერესო სახე. სიცოცხლით აღსავსე კომედიაში მოწონებას იმსახურებს რეჟისორ ვალიკოვის ზომიერების გრძნობა ხალხური ცეკვების, სიმღერების, წეს-ჩვეულებების გამოყენებისას.

მომხსენებელმა, განიხილა რა ნუშიჩის „ქალბატონი მინისტერა“ (რეჟისორი ხუგაევი, მხატვარი გ. იაკობოვა), ყურადღება შეაჩერა მთავარი როლის შემსრულებელ კოჩოსოვას კარგ თამაშზე.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარში რუსული კლასიკა წარმოდგენილი იყო ლეონტოვის „ესპანელებით“, ხოლო დასავლეთ ევროპის კლასიკა — უკვდავი შექსპირის „მეფე ლირითა“ და „ოტელოთი“.

თეატრის შემოქმედებითს კოლექტივს ამ-
ნივნებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტი-
სტი ვლ. თხაფსაევი, რომლის მაღალმა აქტი-
ურულმა მონაწილეობამ შესაძლებელი გახადეს
საყოველთაო აღიარება. მოვუოვები ამ თე-
ატრს და შექსპირის რეპერტუარით დიდ
არენაზე გამოსულიყო.

ფრიად საინტერესოს წარმოადგენდა ის გა-
რემოება, რომ მაყურებელმა ოსურ სპექტაკლ
„ოტელოში“ ნახა საბჭოთა კავშირის სახალ-
ხო არტისტები (ე. თხაფსაევი (ოტელო) და
კაკი ვასაძე (იკა). ამ ორი შესანიშნავი
ოსტატის მონაწილეობამ სპექტაკლს განსაკუ-
თრებული მხატვრული მნიშვნელობა მისცა
და დიდი ინტერესი გამოაწივია თბილისელთა
შორის. ენობრივმა სხვადასხვაობამ ხელი ვერ
შეუშალა გამოჩენილ მსახიობებს, გადმოეცათ
განცდები, რომელთა უწვრთმებანგის სულიე-
რი ნიუანსიც კი ვასაძემ იყო მაყურებლისა-
თვის. აკ. ვასაძემ ერთხელ კიდევ გვიჩვენა
თავისი თავი, როგორც შესანიშნავმა მსახი-
ობმა. იგი განსაკუთრებული პატივისცემით
გვიჩვენოდა სტუმარ-პარტნიორს, იყო სტუ-
დენტთა მოყვარე მსაპინელი და მთელი სპექტა-
კლის მანაილზე ცდილობდა, რაც შეიძლება
უკეთესი პირობები შეექმნა ვლ. თხაფსაევი-
თვის, რათა ამ უკანასკნელს მთელი სისა-
ფით წარმოედგინა თავისი ოტელო ქართვე-
ლი მაყურებლისათვის.

სპექტაკლი იყო ხალხთა შორის მეგობ-
რობის ტექნიკურიანილი დემონსტრაცია.

მოხსენების დასასრულს მ. გოგოლაშვილმა
თეატრს უსურვა, რომ თავის რეპერტუარში
უფრო მეტი რაოდენობით შეიტანოს ჩვენი
თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები
და მაყურებელი ვახაროს ჩვენი ცხოვრების
მშენებელ აღამიანთა ნათელი სახეების ჩვე-
ნებით.

თანამოხსენებით თემაზე „საგასტროლო
სპექტაკლების გაფორმება“ გამოვიდა ხელო-
ვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი
მ. ვახანიანსკი, რომელმაც ძირითადად მოი-
წონა სპექტაკლების გაფორმება და ამ თვალ-
საზრისით გააკრიტიკა მხოლოდ ზოგიერთი
სპექტაკლი. მან თქვა: სპექტაკლ „ხასანაში“
კარგია ორი ძირითადი დაზგა. ისინი მოხერ-
ხებულია მსახიობთა მოქმედების გასავითა-
რებლად და ეფექტურიცაა, მაგრამ მესამე
დაზგის გამოჩენამ გადატვირთა სცენა და
ხელი შეუშალა სურათიდან სურათზე გადა-

სვლას. იგრძნობა, რომ ეს სპეციალურად
მოწყობილი ხასანას გადასახტომად და ამ
ტრუქისათვის არ ღირდა კომპოზიციური
თანაფარდობის დარღვევა.

სპექტაკლ „ესპანელებში“ თანამომხსენებე-
ლმა უსაყვედურა მხატვარს ზოგიერთი კო-
სტუმის შესაბამისობა ეპოქის სტილთან (მხა-
ტვარი ფედოროვი).

მ. ვახანიანსკიმ, მოიწონა რა სპექტაკლ
„ოტელოს“ მხატვრული გაფორმება (მხატვ-
რტუკეევა, ტიბოლოვი), თქვა: „სპექტაკლს
ემჩნევა პროფესორ ი. რაიკის მხატვრული
ხელმძღვანელობა. შესანიშნავია გლადიმერ
თხაფსაევის ოტელოს ჩაცმულობა“.

საგასტროლო სპექტაკლების განხილვაში
მონაწილეობა მიიღეს დრამატურგმა ო. ჩიჯა-
ვაძემ და მწერალმა ი. კავჯაშკამ, მათ აღნი-
შნეს, რომ ჩვენი დედაქალაქში ოსური თეა-
ტრის სპექტაკლების ჩვენება მოწოდებს ორი
ხალხის ეროვნული კულტურის აყვავებას.
თეატრის რეპერტუარი, ჩვენი სტუმრების
ნათლად გამოსახული ხელოვნების ეროვნული
ხასიათი, სამსახიობო ოსტატობა მეტრემეტ-
ყველურად ლაპარაკობს ჩრდილოეთ ოსეთის
მუსიკალურ-დრამატული თეატრის მაღალ
პროფესიონალურ დონეზე და დიდ შემოქმე-
დებლას დიაპაზონზე.

საქართველოს კულტურის სამინისტროს
ხელოვნების საქმეთა სამართველოს უფროსის
მოდელიემ თ. ჯანელიძემ წაიკითხა საქარ-
თველოს კულტურის მინისტრის ბრძანება
ჩრდილოეთ—ოსეთის მუსიკალურ-დრამატუ-
ლი თეატრის კოლექტივის სიგელით დაჯილ-
დოების შესახებ.

მაყურებელთა სახელით აუდიტორიიდან
სიტყვა წარმოსთქვა გ. ჯიოევა, რომელმაც
ხაზი გაუსვა ოსური თეატრის ჩვენთან საგა-
სტროლოთ ჩამოსვლის განსაკუთრებულ მნიშ-
ვნელობას ხალხთა მეგობრობის განმტკიცების
თვალსაზრისით. მანვე მადლობა გადაუხადა
საქართველოს თეატრალური საზოგადოების
პრეზიდიუმს საინტერესო ღონისძიების ჩა-
ტარებისათვის.

დისპუტის დასასრულს ოსური თეატრის
დირექტორმა ე. ტყეიევმა მადლობა გადა-
უხადა მაყურებელს და საქართველოს თეა-
ტრალურ საზოგადოებას გულთბილი მიღები-
სათვის, გამოთქვა რწმენა, რომ ეს შეხვედრა
დიდად შეუწყობს ხელს მათი შემოქმედები-
თი ცხოვრების უკეთ წარმართვას.

(აბელიანის სახელობის კიროვაციანის თეატრის გასტროლების გამო)

ა/წ 2 აგვისტოს დაიწყო სომხეთის სსრ აბელიანის სახელობის კიროვაციანის თეატრის გასტროლები შაშვიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის შენობაში.

ნიჰიური და შრომისმოყვარე კოლექტივი ძირითადად ნაციონალური რეპერტუარით წარმოგვიდგა; საგასტროლო 5 პიესიდან 4 სომეხი დრამატურგებისაა. გასტროლებმა მოიხილა მრავალრიცხოვანი მყურებელი.

თეატრმა პირველად წარმოადგინა სომხეთის გამოჩენილი მწერლის მურაციაანის პიესა „რუზანი“. სწორედ მოიქცა თეატრის ხელმძღვანელობა, რომ სახელდობრ ამ სპექტაკლით დაიწყო თავისი გასტროლები. ეს იმიტომ, რომ ამ ისტორიულ—ნაციონალურ პიესაში ჰარმონიულადაა ერთმანეთში შერწყმული სომეხი ხალხის გმირული პატრიოტიზმი მისი მთავარი გმირის რუზანის სასიყვარულო ტრაგედიათან. ამასთანავე, პიესაში მთელი კოლექტივა ჩაბმული.

მყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო. იგი ხშირად უკრავდა ტაშს სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე, ტაშს უკრავდა ურას, რომელიც ავტორს მტრად ჰყავს გამოყვანილი. აპლოდისმენტები ეკუთვნოდა არა მარტო ავტორის ტექსტს, არამედ სცენის ოსტატებს, რომლებიც გამართული აქტიორული თამაშით ხიზლავდნენ მყურებლებს. სპექტაკლის რეალისტური გაფორმება მხატვარ ტაგვორ ბერბერაიანისა დიდად უწყობს ხელს წარმოდგენის გამარჯვებას.

მორიგ პრემიერად თეატრმა წარმოადგინა ჩენი მაყურებლისათვის კარგად ცნობილი პიესა ჩეხი დრამატურგის კოპოტისა „როცა ასეთი სიყვარულია“, რომელშიაც ჰარმონიულადაა გადაწყვეტილი სოციალისტური მორალისა და ადამიანთა გულისხმიერის ურთიერთდაშოკიდებულების საკითხი.

დამდგმელმა რეჟისორმა აკმაყინა და

მხატვარმა საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნალბანდიანმა შეძლოს შეექნათ ემოციურ-რეალისტური სპექტაკლი.

ჩენი აზრით, ეს კიროვაციანის თეატრის საუკეთესო სპექტაკლია. საყოველთაო მოწონება პოვა გეორგ არუთინიანის თანამედროვე კომედიამ „გულის მანკი“. ნათელი შტრიხებითა და მსუბუქი ჰუმორით ავტორს დღის სინათლეზე გამოჰყავს უსაქმურები და შრომის დეზერტირები, მლიქვნელები და ბიუროკრატები. ავტორი განსაკუთრებით ეხება აღმზრდელობითს საკითხს და სატირული შტრიხებით გვიჩვენებს მშობლების კმაყოფილე მყოფი ახალგაზრდების ბედს.

დიდი მოწონება ხვდა წილად პერკ ლეონ აბრამიანის მიერ პროშინის რომანის მიხედვით ინსცენირებულ „სოსი და ვარდიტერს“. სოსისა და ვარდიტერის სიყვარულის ფონზე პიესაში ასახულია სომეხი ხალხის სოციალური ცხოვრება სამოციან წლებში. სპექტაკლში სწორადაა ნაჩვენები, ერთი მხრივ, გლეხობასა და ინტელიგენციას შორის მეგობრობა და, მეორე მხრივ, უკანონობა და ალგირასხნილობა მაშინდელი სოფლის გამგებლობისა. სპექტაკლი ჯდერს ერთ მთლიან მელოდიად და იგრძნობოდა როგორც დამდგმელთა ჯგუფის, აგრეთვე აქტიორთა მაღალი გამოვლება და პროფესიონალიზმი.

საგასტროლო რეპერტუარი მაინც არ გამოდგა უნაკლო. გამოჩენილი სომეხი მწერლის ხარლანიანის პირველმა დრამატულმა ნაწარმოებმა — „ყველას თავის ადგილი“ ვერ მოიპოვა გამარჯვება. ვერც მხატვარ ნალბანდიანის გამოცდილებამ, ვერც რეჟისორ კოტოვის ნიჰმა და ვერც მთელი კოლექტი-

ეს კარგმა თამაშმა ვერ შეძლეს, გადაიქციათ
პიესა სიუჟეტურ სპექტაკლად. სამართლი-
ანობა მოითხოვს, ითქვას, რომ პიესაში არის
ცალკეული სცენური სიტუაციები, მაგრამ
მინც ავტორმა ვერ მიაღწია ერთ მთლიან
გამჭოლ მოქმედებას, თუმცა დამდგმელმა

რეჟისორმა საკმაოდ კარგად გვიჩვენა თავისი
შემოქმედებითი სახე.

ჩვენ გვჯერა, რომ მოძმე სომეხი ხალხის
ხელოვნების ეს ნიჭიერი კერა თავისი შეწ-
დგომი გასტროლების დროს კიდევ უფრო
დიდი წარმატებების მოწმედ გაგვხდის.

საქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და

ბალეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები ლენინგრადში

ჩვენი თეატრის საგასტროლო მოგზაურობა რესპუბლიკის გარეთ, — სადაც ჩვენ გვიცნობენ და გვაფასებენ, — წარმოადგენს მთელი კოლექტივის თავისებურ შემოქმედებითს გამოცდას.

ჩვენ ხშირად გვიხდებოდა საგასტროლო მოგზაურობა საქაფშირო წინაშენლობის კურორტებზე (მაგალითად, სოჭში). საგასტროლო სპექტაკლები, ყოველთვის მიდიოდა დიდი შემოქმედებითი და მატერიალური წარმატებით. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენ ვიყავით მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე. მოსკოვის საზოგადოებამ დიდი შეფასება მისცა საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს.

ამა წლის ივნის — ივლისში ვიყავით ლენინგრადში, სადაც არსებობს ორი მაღალხარისხოვანი საოპერო და საბალეტო თეატრი.

ლენინგრადში წავიღეთ 16 რიგითი სპექტაკლი, რათა გვეჩვენებინა ჩვენი შემოქმედებითი ძალა. სრულდასოვნად ვაჩვენეთ სპექტაკლები ისე, როგორც მიდიან ისინი ჩვენთან, თბილისში.

კლასიკური „დაისის“ გარდა, საგასტროლო რეპერტუარში შევიტანეთ უკანასკნელი პერიოდის: დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“, შ. შუმევიჩის „დიდოსტატის მარჯვენა“, ოთ. თაქთაქიშვილის „მინდია“, და ახალი ქართული ბალეტები: ალ. მაჭავარიანის „ოტელიო“, ს. ცინცაძის „დემონი“, დ. თორაძის „შემვიდობისათვის“ და „გორდა“. რეპერტუარში აგრეთვე გვქონდა: „ლაურენსია“ კრეინისა, „სილფიდები“ შოპენისა და „ბოლერო“ რაველისა.

გარდა ზემოდ დასახელებული ოპერებისა, წარმოვიადგინეთ: „ალი“, „აიდა“, „კარმენი“, „რიგოლეტო“, „სოფლის პატიოსნება“, „ჯამბაზები“ და „ბოპემა“.

ოპერა „აიდას“, რომლითაც დაიწყეთ გასტროლები, კარგად იცნობენ ლენინგრადე-

ლები და ამიტომ სავესებით გასაგებია, რომ ოპერაც და შემსრულებლებიც აღფრთოვანებით მიიღეს. კარგად მიიღო ლენინგრადის მაყურებელმა აგრეთვე „ჩრდილოეთის პატარძალი“, „მინდია“, „დიდოსტატის მარჯვენა“. კმაყოფილი და მაღლიერი არიან ლენინგრადელები იმითაც, რომ მათ მოვასმენინეთ ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც დიდი ხანია არ უნახავთ მათს სცენაზე. ესენია: „ჯამბაზები“, „სოფლის პატიოსნება“ და „ბოპემა“. ვაზეთები აღნიშნავდნენ მაღალ მუსიკალურ და სცენურ კულტურაზე და შესანიშნავ შემსრულებებზე.

უფროსი თაობის შესანიშნავ ხელოვანთა — პ. ამირანაშვილის, ბ. კრავეიშვილის, ლ. გოცირიძის, ე. ხეჯაძის, ე. ხაშაშურიძის გარდა, საგასტროლო ტურნეში ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლები. უფროს თაობასთან ერთად მათ აღიარება და სიყვარული დამსახურეს, ესენი არიან: ნ. ანდლუაძე, ზ. ანჯაფარძე, ო. კუზნეცოვა, ზ. ხორავა, რ. კაპაბაიე, რ. გოვარძე, ი. კოკოლია, თ. მუსუკულიანი, ი. შუშანია, ნ. ტულუში, ა. მურადოვა და სხვა. მათ მოხიბლეს ლენინგრადელები შესანიშნავი ვოკალური მონაცემებით, მუსიკალობითა და არტისტულობით.

საინტერესოა გადაიფურცლოს შთაბეჭდილებათა წიგნის ფურცლები. თქვენ იქ შეხედებით ზუსტ და მეტიმეტად აღფრთოვანებულ ჩანაწერებსაც. ჩვენს თეატრს ეძახდნენ საბჭოთა კავშირის „ლასკალას“. ეს შეფასება დიდი დამსახურებაა ყოველი საოპერო თეატრისათვის. ერთმა ლენინგრადელმა წიგნში ჩაწერა: „გულისტკივილით ვაღიარებ, რომ ჩვენი ლენინგრადის საოპერო თეატრი ბევრად ცუდია თქვენზე“.

ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ თბილისის საოპერო თეატრი მდიდარია ისეთი მომღერლებით, რომლებსაც აქვთ ლ-



მაზი, მკლერი ხმები. ასეთი სიმრავლე ბრწყინვალე ხმებისა იშვიათად გვხვდება ერთ თეატრში და, რა თქმა უნდა, ეს გარემოება ერის სიამაყესა და სიმდიდრეზე მეტყველებს. ლენინგრაძელთა აღიარეს, რომ ისინი გადაეგვივნენ კარგ სიმღერას და მონატრულეული არიან კარგ მომღერლებს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სავასტროლო სპექტაკლებს უამრავი ხალხი აწყდებოდა და მსახიობებთან ყოველი გამოსვლა ივაციებოდა და ყვავილებით მთავრდებოდა. არ შეიძლება აქ არ ვახსენოთ მრწყინვალე შემსრულებლები: ო. კუზნეცოვა და პ. ამირანაშვილი, „ჯამბაზებში“, ლ. გოცირიძე და ზ. ანჯაფარიძე „კარმენსა“ და „აიდაში“, ნ. ანდლულაძე და ს. ხორავა „სოფლის პატიოსნებაში“, ა. ჩაკალიძე „ბოჭმეში“; დირიჟორები: ო. დიმიტრიადი, დ. შირცხულავა ვ. ი. ფალიაშვილი და სხვა.

ჩვენი თეატრის საოპერო სპექტაკლები ქართული კლასიკური რეპერტუარიდან წარმოდგენილი იყო ლენინგრადში 24 წლის წინათ, ხოლო საბალეტო კოლექტივმა, რომელიც შექმნილია სსრკ სახალხო არტისტის ვახტანგ ქაბუჯიანის მიერ, თავისი ხელოვნება უჩვეულო ლენინგრადელებს ჯერ კიდევ 1942 წ. ამიტომაც გასაგებია ის მღელვარება, რასაც განიცდიდა მთელი საბალეტო კოლექტივი. ყველას აღელვებდა ერთი აზრი: როგორი იქნება შეხვედრა ჩვენი ბალეტისა ლენინგრადის დახვეწილი გემოვნების მაყურებელთან. ლენინგრადი ხომ დიდი ხანია აღიარებულია რუსული კლასიკური ბალეტის სამშობლოდ, სწორედ აქ მიიღეს პირველი აღიარება საბალეტო ხელოვნების ცნობილმა ოსტატებმა: მ. სემიონოვმა, გ. ულანოვამ, ვ. ქაბუჯიანმა, ნ. დუდინსკაიამ. შესანიშნავ საბალეტო ტრადიციებზე აღზრდილი მაყურებელი, რა თქმა უნდა, დიდ მოთხოვნილებას უყენებდა ჩვენს საბალეტო კოლექტივის ჩვენი შიში გაიფანა და პირველსავე სპექტაკლზე. ჩვენმა საბალეტო კოლექტივმა და მისმა უნიკუიერესმა ხელმძღვანელებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს.

საესტეტიკო დამსახურებული წარმატება, ხვდა წილად ბალეტებს, „ოტელის“, „დემონი“, „ლაურენსია“ ვ. ქაბუჯიანის მონაწილეობით. საკმაოდ მხურვალედ მიიღო ლენინგრადელმა საზოგადოებამ ბალეტი „გორდა“ ვ. წიგნაძისა და ლ. მითაიშვილის მონაწილეობით. მოწონება ხვდა აგრეთვე ბალეტს—„მშვიდობისათვის“, რომელიც წარმოადგინს თანამედროვე თემაზე ბალეტის შექმნის ცდას. ქორე-

ოგრაფიული საშუალებით იქნეს გადმოცემული მღელვარე დღეები სამშულო ომის დამარჯვება საშიშ მტერზე.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა უკანასკნელმა დღემ რაველის „ბოლეროში“, (დადგმა ვ. ქაბუჯიანისა). წარმატება ხვდა სავასტროლო სპექტიკლებში ბალეტის ახალგაზრდა მსახიობებს: რ. მალააშვილს, კ. ქაბუჯიანს, ლ. ნადარეიშვილს, ტ. კოსოვისს, გ. კუკულაძეს, გ. გორბოვიჩს, კ. ძნელაძეს, ა. დგალს, ვ. გუნაშვილს, მ. მონაგარიშვილს და სხვებს.

დადასტორი მუშაობა გასწიეს გასტროლების დროს კორდობალეტმა, ქორომ და თეატრის ორკესტრმა, მათი მუშაობა დამსახურებულად იქნა აღინშნული ადგილობრივ პრესაში.

ჩვენი სავასტროლო პერიოდის ნამდვილი ტრიუმფი იყო დასკვნითი კონცერტი 1962 წლის 31 ივლისს. მაყურებელი, რომელიც აგავსებულ იყო გვერდითელა ლენსაბჭოს სახელობის კულტურის სასახლე, ძალიან დიდხანს არ იშვებოდა. კონცერტის თითოეულ მონაწილეს მოუწყვეს აღფრთოვანებული შეხვედრა და აღზნებული ყვიროდნენ: „გამაღლობთ, საქართველო“, „ჩამოდით“ და სხვა. კონცერტი ტრანსლირებული იყო ტელევიზიით მსოკოვში. გვემით გათვალისწინებული იყო მხოლოდ პირველი განყოფილება, მაგრამ როდესაც კონცერტის წარმატებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, მსოკოვმა გვთხოვა გადაგვეცა მეორე განყოფილება.

გასტროლების დროს თეატრის დირექტორის, პარტოგანიზაციის, ადგილკომის ინიციატივით მოეწყო შემოქმედებითი შეხვედრები ქალაქის დიდი სამრეწველო ობიექტების მუშა—მოსამსახურებთან, სკეინის ძველვეტრანებთან და, ბოლოს, გემ „გრუზიას“ ეკიპაჟთან. თეატრის დირექტორი, რესპ. სახალხო არტისტი დიმიტრი მჭედლიძე ყოველ ამ შეხვედრაზე აცნობდა აღდითორიას თეატრის ცნობილ ძალებს რის შედეგაც ვაწყობდით კონცერტს.

ერთ-ერთი შეხვედრა მოეწყო კიროვის სახ. ქარხანაში. კონცერტი ჩატარდა ვეებერთელა საამქროში დაზგებსა და მანქანებს შორის, კონცერტი ტრანსლირებული იქნა ქარხნის მთელ ტერიტორიაზე. მუშებმა კონცერტი მეტად თბილად მიიღეს.

კიროვის სახ. ქარხნის მუშებმა უძღვნეს ამ დღესათვის ჩვენს თეატრს სპეციალურად დამზადებული თასი და ფოტო-ალბომი, რომელშიც აღბეჭდილი იყო ყველა ჩვენი გამოსვლა. განსაკუთრებულ თბოდ ვითარებაში ჩატარ-



რდა შეხვედრა ლენინგრადის სცენის ძველ
ვეტერანთა სახლში. აქ ცხოვრობს ორასი
ხანდაზმული ხელოვნების მოღვაწე. უმთავ-
რესად თეატრის მუშაკები. მათ შორის ჩვენ
შეხვედით თბილისელთათვის საკმაოდ ცნო-
ბილ სახელგანთქმულ დრამატულ მსახიობს
ვ. ეიხაროვას, რომელიც უკვე 90 წლისაა.

ჩვენმა კონცერტმა, რომელშიც მონაწილე-
ობას იღებდნენ უფროსი თაობის წამყვანი
მომღერლები და ახალგაზრდებიც წარუშლელი
შდაბეჭდილება მოახდინეს.

ძალიან თბილი შეხვედრა მოგვიწყო აგრეთ-
ვე ვემ „გრუზიას“ ეკიპაჟმა, რომელიც იდგა
იმ დროს ლენინგრადის ნავსადგურში. ჩვენი
თეატრის კოლექტივმა ეკიპაჟს აღუთქვა შე-
ფობა შემოქმედებითს საკითხებში.

დიდი ხალისითა და წარმატებით მონაწილე-
ობდნენ ამ შემოქმედებითს შეხვედრებში
მსახიობები: პ. ამირანაშვილი, ბ. კრავცივი-
ლი, ლ. გოცირიძე, შ. კიკნაძე, თ. მუშკუ-
დიანი, ტ. მალიშევა, ი. შუშანია, კ. ხიჯა-
კაძე, ნ. ანდლულაძე, რ. გორგიძე, ა. გაგუა,
ზ. ხორავა, შ. მეძველია, გ. ტორონჯაძე, რ.
კაკაბაძე, მ. გოგიჩაიშვილი, ბ. მონავარდი-
შვილი, თუშიშვილი, აბდალაძე, კონცერტმე-
ისტერები: ტ. დუენკო, ი. გორდონი, ი. სა-
ლაყაია, ე. ლაზაროვა, ლ. მაზმანოვა.

ლენინგრადის დეპუტატთა საბჭოს მშრო-
მელთა საქალაქო აღმასრულებელმა კომიტე-
ტმა ჩვენი თეატრის კოლექტივი დააჯილდო-
ვა „ქების სიგელით“.



მოსკოვსა და რიგაში

4 ივლისს, ჟურსიკის სადგურზე თავი მოეყა-
რა მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებრი-
ობას, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი სტუმართ-
მოყარობით ეგებებოდა კ. მარჯანიშვილის
სახელობის სახელმწიფო თეატრის სახელოვან
კოლექტივს, რომელიც საგასტროლოდ ეწვია
მოსკოვს. რიგით ეს იყო მესამე გასტროლე-
ბი, თეატრი რომ მართავდა რესპუბლიკის
ფარგლებს გარეთ—მოსკოვსა და რიგაში.
სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე თეა-
ტრს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრკ
კულტურის სამინისტროს თეატრალური გან-
ყოფილების უფროსმა გ. ოსიპოვმა და სსრკ
სახალხო არტისტმა ი. ზავადსკიმ, საპასუხო
სიტყვა წარმოთქვა კ. მარჯანიშვილის თეატ-
რის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრკ სახა-
ლხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ.

გასტროლები გაიხსნა 6 ივნისს მცირე
თეატრის შენობაში. სპექტაკლის დაწყების
წინ გასტროლების დაწყება მიულოცა სსრკ
სახალხო არტისტმა ი. ზავადსკიმ. მოსკოველ
მაყურებელს გულთბილი სიტყვით მიმართა
ვ. ანჯაფარიძემ. ამ დღეს თეატრის კოლექ-
ტივმა მაყურებელს უჩვენა ნ. დუმბადისა და
გ. ლორთქიფანიძის მიერ თანამედროვეობის
თემაზე შექმნილი კომედია „მე ბებია, ილიკო
და ილარიონი“. სპექტაკლმა დიდი გამარ-
ჯვება პოვა. არავინ იცოდა, როგორ მიიღე-
ბდა რუსი მაყურებელი. გურული ყოფისა და
პუმორის კოლორიტზე შექმნილ კომედიას,
მაგრამ მაყურებელთა რეაქციამ მოლოდინს
გადააჭარბა. პირველივე რეპლიკებიდან წარ-
მოადგენა შეუფერხებელი წარმატებით წარ-
მართა. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდი-
ნა მაყურებელზე მსახიობთა შესანიშნავმა
შესრულებამ, კარგად ჩაფიქრებულმა დად-
გმამ, მხატვრისა და კომპოზიტორის ნამუშე-
ვარმა. სპექტაკლის შემდეგ მაყურებელთა
დარბაზში დიდხანს არ ცხრებოდა ოცაიციები.

იშვიათი იყო გაზეთი ან ჟურნალი, რომე-
ლიც ფართოდ არ გამოხმაურებოდა კ. მარ-
ჯანიშვილის თეატრის გასტროლებს. აი რას
წერდა გაზეთი „პრავდა“. მარჯანიშვილის
თეატრის გასტროლები საზაფხულო სეზონის
მნიშვნელოვან მოვლენად იქცა... ამ ნიჭიერი
კოლექტივის დასახასიათებლად ყველაზე ზედ-
გამოჭრილია სიტყვა მგზნებარება. იგი მგზნე-
ბარედ ამკვიდრებს თავის იდეალებს, მგზნე-
ბარედ და ნათლად მოგვითხრობს თანამედ-
როვეობაზე“. ასეთივე მაღალ შეფასებას აძ-
ლევდნენ თეატრს გაზეთები „იხვესტია“,
„კომსომოლსკაია პრავდა“, „სოვეტსკაია კულ-
ტურა“, „მოსკოვსკაია პრავდა“, „მოსკო-
ვსკი კომსომოლცი“, „ენერგია მოსკვა“.
რამდენიმე დღის შემდეგ „მოსკოვსკაია პრა-
ვდა“ თეატრის პირველი საგასტროლო სპე-
ქტაკლის შესახებ წერდა: „არაჩვეულებრივი
და უადრესად საგულისხმო სპექტაკლით დაი-
წყო თავისი გასტროლები მოსკოვში კ. მარ-
ჯანიშვილის სახელობის თეატრმა. თვითონ
განსაჯეთ: კომედია, რომელსაც თან ახლავს
განუწყვეტელი ხარხარი მაყურებელთა დარ-
ბაზში“. შემდეგ რეცენზენტი ვლ. მატუსევიჩი
ვრცლად ეხება ნაწარმოების მხატვრულ თა-
ვისებურებებს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს რე-
ჟისორისა და მხატვრის შესანიშნავ მუშაო-
ბას, მათს მხატვრულ ალღოსა და კომედი-
ურობის გრძნობას.

განსაკუთრებით ჩერდება რეცენზენტი ზუ-
რიკელას როლის გარშემო. კომედიური რო-
ლის ამ სახით გადაწყვეტას იგი მიიჩნევს
ავტორის დიდ დამსახურებად. რეცენზენტის
აზრით, კომედიურ პლანში დადებითი გმი-
რის იმეგავი გადაწყვეტა, როგორცაც ავტო-
რი და თეატრი აღწვევენ, მრავალმხრივ საყუ-
რადლებო და საგულისხმო ფაქტია

მაღალ შეფასებას აძლევს ვლ. მატუსევიჩი
სპექტაკლის აქტიურულ ანსამბლს. ავტორის



აზრით, ანთაძის, ს. თაყაიშვილის, ა. ჯორჯოლიანის, გრ. კოსტავის მიერ შექმნილ გმირთა ხასიათები მკაფიოდ ინდივიდუალურია და განუშეორობელი თავიანთი მკვეთრი კომედიური ელფერი.

„თუ გსურთ გაიცნოთ,—წერდა თეატრალური რეცენზენტი,—ქართველი ხალხის ნათელი და კეთილი სული, თუ გინდათ შეხვდეთ მზიარულ და კეთილშობილურ ჩვენს თანამედროვეებს, ნახეთ სპექტაკლი „მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი“.

ამავე სპექტაკლს ვრცელი დადებითი რეცენზია მიუძღვნა გაზეთ „კომსომოლსკია პრავდა“.

„მოსკოვსკი კომსომოლცის“ რეცენზენტი წერდა: „ერთბაზად შეიძლება ვერც განსაზღვრო ის წამყვანი, ძირითადი რამ, რითაც ხელმძღვანელობდა რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე პიესის წაკითხვისას. უკიდურესი პოეტურობა? დიახ, რასაკვირველია. თანაც ცხოვრებისეული სიბრძნე ამაყი და ძლიერი ხალხისა, იშვიათი თავშეკავებულობა, საოცარი უბიწოება ყველაფერში—უწვრილმანეს დეტალებსა და ძნელად დასანახ შტრიხებშიც კი.

გმირებისადმი სიყვარულში რეჟისორი შემსრულებლებს ეჯიბრება. სრული ქეშმარიტება! განა შეიძლება არ შეიყვარო ს. თაყაიშვილის ბეზია, ლ. ანთაძის ზურიკო? ან ილიკო და ილარიონი, მერი და ამაკო (ა. ჯორჯოლიანი, გრ. კოსტავა, ი. ბოკუჩავა და ტ. საყვარელიძე)? ერთი სიტყვით, ეს სია შეიძლება განჯადმოთ, სანამ არ ამოიწურება მოქმედ პირთა და შემსრულებელთა რიცხვი; სპექტაკლში არ არის ნეიტრალური, გვერდასავლელი როლები. მწყობრია ყოველი მიზანსცემა, გამოძერწილია ყოველი ეპიზოდი“.

7 ივლისი... თეატრის გასტროლები მეორე დღე... კიდევ ერთი ახალი გრანდიოზული წარმატება. თეატრმა ამ დღეს მოსკოვლებს უჩვენა ევრაიბიდეს „მედეა“. მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაციები გაუმართეს სპექტაკლის მონაწილე მსახიობებს, რეჟისორსა და მხატვრებს. სპექტაკლმა დიდი შემოქმედებითი აღმავლობა ჩაიბარა. შთაბეჭდილებათა წიგნი აივსო აღბატების გამომხატველი სიტყვებითა და თეატრის შემოქმედებითი შესაძლებლობის შემამკობელი ეპითეტებით. გამოჩენილი თეატრალური იქვე გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს: მარჯანიშვილის თეატრის „მედეა“ ძველი სახელგანთქმული ანტიკური ტრაგე-

დიის უაღრესად ორიგინალური და, ამავდროს, თანამედროვე გადაწყვეტაა.

სპექტაკლს ესწრებოდნენ განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მონაწილეები, საბერძნეთის გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები, რომლებმაც დიდი ინტერესით ნახეს წარმოდგენა და მაღალი შეფასება მისცეს დამდგმელ კოლექტივს.

„მედეა“ მოსკოვში ფართო გამოხმაურება პოვა. დიდი ხნით ადრე მცირე თეატრის სალაროში უკვე არც ერთი ბილეთი აღარ იზოგებოდა. ამიტომ იყო, რომ 18 ივლისის თეატრის ხელმძღვანელობამ დამატებითი წარმოდგენა დანიშნა მოსკოვის ხელოვნების მუშაკთათვის. ეს დღე თეატრის ტრიუმფალური წარმატების დღედ გადაიქცა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ ცხრებოდა ოვაციები. მასპინძლები სცენაზე ავიდნენ და ყვავილებს თაიგულები მიართვს სპექტაკლის მონაწილეებს. სსრკ თეატრალური საზოგადოების სახელით თეატრს გამარჯვება მიულოცა სსრკ სახალხო არტისტმა პ. გერაგამმა. სპექტაკლს დაესწრნენ აგრეთვე მოსკოვში გასტროლებზე მყოფი კუბიშვილის მ. გორკის სახელობის დრამატული თეატრისა და სვერდლოვსკის ლუნინარსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები და რეჟისორები.

„თეატრს,—წერდა გაზეთი „პრავდა“,—ეს ძველთაძველი ტრაგედია თავისებურად გადაწყვეტია, იგი მოგვითხრობს ცხოვრების უკუღმართობათა წინააღმდეგ ადამიანის ბრძოლისა და ვეჟაკობის ამბავს. მედეა—გ. ანჯაფარაძე თავის თავს ჩასწლომა. მსახიობი თითქოს საშუალებას გვაძლევს დავინახოთ და განვიცადოთ ის ძალა, რომელიც ქალის სულში იღვიძებს, როცა ამ ქალს ღირსებას უბღალავენ. რეჟისორ ა. ჩხარტიშვილს მაღალი თეატრალური კულტურის დონეზე უაღრესად რთული სპექტაკლი შეუქმნია“.

„ა დღეობით გაზეთ „ივესტის“ ფურცლებიდან: „ტრაგედიას ამ სპექტაკლში ვითარება—გარემოებანი კი არ ქმნიან, არამედ თვით მედეას მსოფლშეგრძნება. ეჭვის გარდა დრამაში ათასი რამ მიზეზია, რომელიც თითქოს არა ჩანს, მაგრამ ვ. ანჯაფარაძისა და ა. ჩხარტიშვილისათვის მთავარი და განმსაზღვრელია. აი თუნდაც სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანის მძიმე სევდა. სპექტაკლის თანამედროვეობა მიღწეულია არა

გარეგნული საშუალებებით, არამედ შინაგანი წყობით.

„ექსპრესიით საესეა,—წერდა „ლიტერატურნაია გაზეტას“ რეცენზენტი ე. ნიკოლაევა,—ქორის სკულპტურული მიზანსკენები. ეს აღამიანური ვედრების სიმეონიაა, რეისორის მიერ რთულად და მრავალმხრივად ინსტრუმენტირებული. საოცრად პლასტიკური და მოქნილი ეს ქორო და, თანაც, ადამიანური“. ასევე აღფრთოვანებით წერდნენ სხვა გაზეტებიც. „სოვეტსკაია კულტურაში“ გვითხულობთ: „მედის ქცევა მარჯანიშვილთა სპექტაკლში აღამიანური თვალსაზრისით გამართლებულია. ყველაფერი, რაც ტექსტში მედის სულის სინნელითა და ჯადოქრობაზე ლაპარაკობს, არაბარსებითად ქცეულია. ვ. ანჯაფარიძე მტკიცე ხასიათის ქალის მთლიან სახეს ქმნის.

სპექტაკლის განუყრელ ნაწილად იქცა გუნდი (კორიფე დ. ჰიჭინაძე). ეგვიპტის ტრაგედიის თანამედროვე წაიხიხეს ხელს უწყობს სპექტაკლის მიეგი სახითი წყობა (მხატვარი ი. სუმბათაშვილი).

თეატრს თავისი შეხედულება აქვს ლიტერატურულ ნაწარმოებზე, რეისორი ა. ჩხარტიშვილი და შემსრულებელი პ. კობახიძე არ ეძებენ გამართლებას იაზრონისათვის, თუმცა ტრაგედიაში ამას თავისი გამართლება აქვს. ჩვენ შედევას მხარზე ვართ. პიესის მიეღი მხატვრული სისტემა საგანგებოდ ემორჩილება ერთ მთლიან ჩანაფიქრს“.

გასტროლების მესამე დღეს კ. მარჯანიშვილის თეატრმა მაყურებელს უჩვენა მ. ბარათაშვილის მარინე. ამ ნაწარმოებს კარგად იცნობენ მოსკოველები. სპექტაკლის განახლებულმა აღადგამ დიდი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მთავარი როლის შემსრულებელ მ. ჯაფარიძეს, რომლის არაჩვეულებრივმა კომედითრმა გულწრფელობამ, არტისტულმა ოსტატობამ და სილაღემ მოხიბლა მოსკოველი მაღალმომთხოვნე აუდიტორია.

შექსპირის პიესებიდან თეატრს საგასტროლო რეპერტუარში ჰქონდა შეტანილი „რომეო და ჯულიეტა“. მაყურებელმა გულთბილად მიიღო წარმოდგენა. საკავშიო პრესა მოწონებით აღნიშნავდა აქტიორთა შესანიშნავ შესრულებას, ტრაგედიული განცდის ძალისა და რომანტიკულ ზეაწეულობას. მარჯანიშვილის თეატრი,—თქვა მოსკოვის

ერნოლოვას სახელობის თეატრის რეისორმა რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. შატრინმა,—აქტიორის თეატრია. იგი ცნობილია თავისი ემოციურობით. მსახიობმა მ. ჯაფარიძემ მშვენივრად ითამაშა ჯულიეტა. ი. კობახიძის რომეო თეატრის დიდი მონაპოვარია. იგი მთლად სიმართლეა. მისი გულწრფელობა, დიდი ტემპერამენტი, იდეალური გარეგნობა, ზომიერების გრძობა კობახიძის რომეოს შემსრულებელ საბჭოთა მსახიობების პირველ რიგში აყენებს.

ძლიერი იყენებს მსახიობებიც: ტ. საყვარელიძე (კაპულენტი), გ. ლეივა (ძობა), პ. ინწირიელი (პრინცი), ზ. ლაფერაძე (ლორენცო). ძალიან კოლორიტულია და თავისებური ტიბალტი ა. ვერულიძევილი. წრფელი და მომხიბვლელია ბენვილიო—ა. კობახიძე, ქაბუჯურად მგზნებარე და დარდიმანი—გ. ციციშვილი. დიდი შინაგანი ძალა და თავშეკავება ლ. ცხვარიშვილის პარონში“.

მოსკოველმა მაყურებელმა შექსპირის ეს ტრაგედია სხვა მსახიობების მონაწილეობითაც ნახეს. მათზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა მსახიობის ს. ჭიაურელის ჯულიეტამ და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის შ. ქაჩორაძის რომეომ.

მაყურებელიც და თეატრის სპეციალისტების ერთსულთვანი მოწონება დამსახურა ახალგაზრდულმა სპექტაკლმა—ნ. პერიალისის „ზაფთიანმა გოგონამ“. მაყურებელი მოხიბლად წარმოდგენის შესანიშნავად რეისორულმა გააზრებამ, მხატვარ ი. ლითანიშვილის ორიგინალურმა დეკორაციულმა და მსახიობების მიერ დიდი შინაგანი ლტოლვით განსახიერებულმა როლებმა. ს. ჭიაურელის გოგონა სანერო მოწონებისა და აღრფთოვანების საგანი გახდა. რეცენზენტები ერთხმად აღნიშნავენ წარმოდგენის მძაფრ სოციალურ ელერადობას, რომანტიკულობითა და ფაქიში პოეტური სულით აღსავსე დადგმის შთამბეჭდაობას. „ზაფთიან გოგონაში“ მოპოვებულ გამარჯვება მეტად საკულისხმო იყო; იგი ნათელი დადასტურება გახდა იმ უტყუარი ფაქტისა, რომ თეატრს ეზრდება სანდო, შემოქმედებითად მზარდი ნიჭიერი ახალგაზრდობა.

გულთბილად მიიღო მაყურებელმა ვ. კანდელაკის პერიოდიული დრამა „მაია წყნეთელი“. აქაც, ისე როგორც დანარჩენ საგასტროლო სპექტაკლებში, თვალსაჩინო გახდა კ. მარჯანიშვილის თეატრის აქტიორულ



ძალა, სპექტაკლის ეანრული გარკვეულობი-
საკენ სწრაფვა განცდათა რომანტიკული ზე-
აწეულობა.

21 ივლისს სრულიად რუსეთის თეატრა-
ლური საზოგადოების საკონფერენციო დარ-
ბაში ხალხს ვერ იტყვდა. ამ დღეს საზოგა-
დოების ინიციატივით კ. მარჯანიშვილის
თეატრი საგასტროლო სპექტაკლების განხილ-
ვა ეწყობოდა. განხილვა გახსნა და შესახა-
ლი სიტყვა წარმოთქვა სსკ კულტურის სა-
მინისტროს თეატრალური განყოფილების
უფროსმა გ. ოსიპოვმა. მან დიდი კმაყოფი-
ლება გამოთქვა გასტროლების მაღალ დონე-
ზე ჩატარების გამო. ყველა მსახიობი,—თქვა
მან თავისი სიტყვის დასასრულს,—ღირსია
ატარებდეს მსახიობის ყველაზე მაღალ და
საბაიოწო წოდებას.

განხილვაზე ვრცელი მოხსენებით გამოვი-
და მოსკოვის ერთოლოფას სახელობის თეატ-
რის რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული
მოღვაწე ა. შატრინი. მან ანალიზი გაუყეთა
თეატრის საგასტროლო რეპერტუარს. ილა-
პარაკა კ. მარჯანიშვილის თეატრის მხატ-
ვრულ-შემოქმედებით პრინციპებზე, თეატ-
რის მიერ მოპოვებულ მიღწევებსა და ნაკლო-
ვანებებზეც. მომხსენებელმა განსაკუთრებული
მაღალი შეფასება მისცა ნ. დუმბაძისა და
გ. ლორთქიფანიძის პიესას „მე, ბებია, ილი-
კო და ილარიონი“, ევრიპიდეს „მედეას“ და
აგრეთვე ნ. პერიალისის „ბაფთიან გოგონას“.
ხაზგასმით აღნიშნა იგი მსახიობთა შე-
მოქმედებითს მუშაობას.

ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატმა ა. ან-
ქისტმა ილაპარაკა „მედეასა“ და „რომეო
და ჯულიეტას“ დადგმების ღირსება-ნაკლო-
ვანებებზე. ხელოვნების დამსახურებულმა მო-
ღვაწემ ვ. ვლასოვმა თქვა: მე მხად ვარ ვაპა-
ტიო უამრავი წვრილმანი და ნაკლი სპექტა-
კლებს და აღტაცებით ვილაპარაკო მიღწევე-
ბზე. მე არ ვიცნობდი ამ თეატრის კოლექ-
ტივს და ამ დღეებში უდიდესი სიამოვნება
მივიღე. აი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია
წარმოადგინოს საბჭოთა თეატრალური ხე-
ლოვნება დედამიწის ყველა პარალელურსა და
შერდიანზე. საოცარია მსახიობთა დიდი
სცენური კულტურა და გარდასახვის ნიჭი,
რეჟისორების, მხატვრებისა და კომპოზიტო-
რების ოსტატობა. ამ ექვსივე წარმოდგენამ
დიდი სიხარული მაგრძნობინა. არა მარტო

გილოცავთ, არამედ უდიდესი მაღლობა-
წარმოდგენებისათვის, რაც აქ გვიჩვენეთ.

საგასტროლო სპექტაკლების მხატვრულ
გაფორმებათა შესახებ განხილვაზე ვრცელი
სიტყვით გამოვიდა ხელოვნებისმცოდნე ე.
ლუცკაია. მან თქვა: მარჯანიშვილებთან
მუშაობა მხატვრებისათვის დიდი პატივია.
რამდენი თეატრი ჩამოსულა მოსკოვში, მა-
გრამ საკუთარი გამოცხადებით ხელწვრით
ცოტა დაიკვივნის. თქვენი თეატრი საინტე-
რესოა, უწინარეს ყოვლისა, პრინციპული
მთლიანობით და ერთიანობით, შინაგანი და-
მარწმუნებელი ძალით. ექვსივე წარმოდგენამ
გვიჩვენა—როგორ იზრდება მხატვარი თეატ-
რში, როგორ იპყრობს თანადროულობა სცე-
ნას. დეკადის შემდეგ განვლდა ოთხი წლის
ერთ-ერთი ნიშნად მიმართა მხატვრობის სიახ-
ლე. არ გვაოცებს სახლი ღრუბლებში, თე-
ატრის სწავის მაყურებლის გემოვნება, ენდობა
მას. „ბაფთიან გოგონას“ გაფორმება არის
პირობითობის შტამპისადმი ნამდვილი ბრძო-
ლის გამოცხადება და არა ხარკი თანამედრო-
ვე ფორმებისადმი. „მედეაში“ მოკვების სახ-
ვითა, რეჟისორული და აქტიორული ერთო-
ბლიობა, მასში ყველაფერი, ყოველი დეტალი
პარმონულია. საერთოდ კი, თქვენს დეკორა-
ციების რთული ფსიქოლოგიური ქვეტექსტი.
განხილვაზე მონაწილეობა მიიღეს ხელოვ-
ნების დარგის სხვადასხვა წარმომადგენელე-
მა. ყველა ისინი პირუთვნელი პირდაპირობით
ლაპარაკობდნენ საგასტროლო რეპერტუარის
ავტარგანაობაზე, თეატრალური ტრადიცი-
ებისა და ნოვატორობის პრინციპებზე.

ეს იყო თეატრის სპეციალისტებისა და
კრიტიკოსების ფართო, საქმიანი მსჯელობა,
მეგობრათა სიტყვები, რჩევები და სურვილე-
ბი. აზრთა ამ ურთიერთგაზიარებასა და
მსჯელობებში ყველგან იგრძნობოდა თეა-
ტრისადმი ღრმა პატივისცემა. თეატრალუ-
რი საზოგადოების ინიციატივით მოწყობილმა
ამ განხილვამ შეჯამა კ. მარჯანიშვილის თეა-
ტრის გასტროლები. განხილვაზე გამოსულთა
საერთო აზრით, კ. მარჯანიშვილის თეატრის
გასტროლები საყურადღებო კულტურულ
ფაქტს წარმოადგენდა. იგი მოსკოვის საზა-
ფხულო თეატრალური სეზონის მანძილზე
მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენად
იქნა აღიარებული.

22 ივლისს „მედეათი“ თეატრმა დამთავრა
საგასტროლო სპექტაკლების ჩვენება. თეატ-

რის კოლექტივის მოსკოვში გასტროლების წარმატებით დამთავრება მიულოცა სსრკ კულტურის მინისტრის მოადგილემ ნ. კუზნეცოვმა.

24 ივლისს რიგაში საგასტროლოდ ჩასულ მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივის სადგურზე შეხვდნენ ლატვიის დედაქალაქის ინტელიგენციის დიდი ნაწილი. სტუმრების სპატივცემულოდ გამართული მიტინგი გახსნა ქ. რიგის აღმასკომის თავმჯდომარემ. თეატრს გასტროლების კარგად ჩატარება და წარმატებები უსურვა ლატვიის სსრკ კულტურის მინისტრმა. თეატრის სახელით სიტყვა წარმოთქვა გ. ანჯაფარაძემ.

მეორე დღეს აკადემიური დრამის თეატრის შენობაში ქ. მარჯანიშვილის თეატრმა დაიწყო თავისი პირველი საგასტროლო სპექტაკლების ჩვენება. კოლექტივისათვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო აქ მოპოვებული წარმატება, იქ, სადაც კოტე მარჯანიშვილმა, როგორც დიდმა რეჟისორმა, პირვე-

ლად პოვა საერთო აღიარება და მოწონება. მაყურებელმა გულთბილად მიიღო თეატრის წარმოდგენები. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ რიგელი აუდიტორია, ფეხზე ამდგარი, ტაშს უკრავენდა და ოვაციებს უმართავდა ქართული ხელოვნების ოსტატებს, ჩვენს სახელოვან მსახიობებს, რეჟისორებსა და მხატვრებს.

რიგის გაზეთები—„ცინია“, „სოვეტსკაია ლატვია“, „ლიტერატურა უნმაკსლა“, „პალომიე იაუნადნე“ და „რიგას ბალსს“ აღრფთოვანებულ წერილებსა და რეცენზიებს ათავსებდნენ თავიანთ ფურცლებზე. გასტროლები წარმართა ხალხთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ნიშნის ქვეშ.

ქ. მარჯანიშვილის თეატრის წლევანდელმა საზაფხულო გასტროლებმა, რომლებიც მოსკოვსა და რიგაში მოეწყო, ერთხელ კიდევ აშკარა გახადა ქართული თეატრალური კულტურის მაღალი დონე.

წლეულს რუსთაველის თეატრი ეწვია საქართველოს ხუთ ქალაქს (ზესტაფონი, მახარაძე, ბათუმი, სოხუმი, კუთაისი). ეს იყო უაღრესად საქმიანი და სასარგებლო მოგზაურობა, რომელმაც მეტი სიმხნევე და ხალისი შეჰმატა კოლექტივს. ერთხელ კიდევ დავინახეთ ჩვენი ხალხის ფართო თეატრალური ინტერესები, ერთხელ კიდევ ვიგრძენით, თუ როგორ უყვარს თავისი თეატრი ჩვენს მკურნებელს და რა ბევრს მოითხოვს მისგან. გასტროლების დროს ხშირად ეწყობოდა შეხვედრები კოლმეურნეებთან, მუშებთან, ქალაქის ინტელიგენციასთან. ამგვარი კონტაქტები ხელს უწყობენ, ცხოვრებასთან ხელოვნების ღრმად დაკავშირებას.

გასტროლების რეპერტუარში თეატრს ძირითადად ქართული ორიგინალური დრამატურგიის ნიმუშები ჰქონდა შეტანილი. ფართო მკურნებელმა ნახა დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“ და გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“, გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები“ და რ. ებრაიძის „თანამედროვე ტრაგედია“, ლ. სანიკიძის „ქუთათურები“ და აგრეთვე ჩეხი დრამატურგის, კოპოტის „როცა ასეთი სიყვარულია“. რეპერტუარის ამგვარი მრავალმხრივობა, რა თქა უნდა, კარგია, მაგრამ დასანანი, რომ ყველა ეს სპექტაკლი მხატვრულად ერთნაირად ძლიერი არ არის...

ზესტაფონში გასტროლები ერთ კვირას გაგრძელდა. მკურნებელი დიდი აღტაცებით შეხვდა „ბახტრიონს“, „როცა ასეთი სიყვარულია“ და სხვა წარმოდგენებს. ხალხით გაჭედული დარბაზის მუდმივი რეაგირება, ტაში ამ მოწონების დამადასტურებელი იყო.

ზესტაფონში გასტროლების დროს მოეწყო დ. ანთაძის საიუბილეო საღამო. ჩატარდა სხვა ღონისძიებებიც. მემდეგ თეატრი ეწვია ქ. მახარაძეს. ეს იყო მისი პირველი დიდი გასტროლი ამ ქალაქში. თეატრი აქ ორ კვირას დაჩა. წარმოდგენები იმართე-

ბოდა არა მარტო ცენტრში, არამედ საკოლმეურნეო სოფლებშიც. თეატრი შეეცადა, მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინა მახარაძელთა ვაზრდილი ინტერესები.

მახარაძეში გასტროლების დასასრულს მოეწყო რაიონის მშრომელთა შეხვედრა თეატრის კოლექტივთან. საღამოზე ბევრი გულწრფელი სიტყვა და ლექსი ითქვა. მახარაძელები სთხოვდნენ თეატრს, უფრო ხშირად სწეოდნენ მათ.

უკანასკნელად სამი წლის წინ იყო რუსთაველის თეატრი ბათუმში. თეატრმა იცის, თუ რა მოსწონს იქაურ მკურნებელს. ამიტომ სცადა მან, მაქსიმალური ძალით გამოეჩინა მთელი თავისი შესაძლებლობა. იშვიათად ახსოვს ბათუმს ისეთი თეატრალური „აქტიოტაჟი“, როგორც წელს იყო. გასტროლების მიმდინარეობის დროს იყო ბილეთის შოვნა. გასტროლებს ფართოდ გამოეხმარა პრესა. „ზღვის შვილების“ გამო „საბჭოთა აუარა“ წერდა: „მკურნებელი შეუწელებელი ინტერესით ადევნებს თავს ორი თაობის ცხოვრებას, რომელიც სავსეა შინაგანი კონფლიქტებით, წინააღმდეგობით, ადამიანთა რთული ხასიათებით, სიყვარულითა თუ სიძულვილით, პირდაპირობითა თუ ციხრებით. მამებისა და შვილების ამ ორ თაობას შორის დგას ძველი მეზღვაური ბოცო კალანდაძე. იგი თითქოს „შემართებული ხილია“, უშუალო მოწამე იმისა, თუ როგორ გადაეცემა ახალ თაობას წინა თაობის ესტაფეტა... „ზღვის შვილები“ პოეტური ნაწარმოებია, პოეტური დრამა“. იმავე გაზეთმა ქება უძღვნა „ბახტრიონს“. გაზეთის აზრით, ეს სპექტაკლი დიდი მოგონება თანამედროვე ქართულ საბჭოთა თეატრში. სპექტაკლი მკურნებელს ხიბლავს დიდი პოეზიით, გმირული შემართებლობით, პარტიული სულისკვეთებით.

თეატრის საგსტროლო რეპერტუარში უმთავრესი ადგილი ქართულ ორიგინალურ დრამატურგიას ჰქონდა დათმობილი. მალა-



ლი იდეური მიზანდასახულება მსჭვალავდა ყველა წარმოდგენას და განსაკუთრებით— „თანამედროვე ტრაგედიას“ მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, სპექტაკლი მაყურებელში აღძრავს ომისადმი ზიზღს, სიძულვილის გრძნობებს. იგი მოგვიწოდებს კაცთა მშვიდობისა და ბედნიერებისაკენ. „საბჭოთა აქარის“ აზრით, სპექტაკლი გამოირჩევა „მთლიანობით, ერთიანი რიტმით. ყოველ მიზანსცენაში, ყოველ დეტალში რეჟისორი ახერხებს წინ წამოსწიოს ძირითადი იდეა ბრძოლა მშვიდობისათვის. ამ ჩანაფიქრის სრულ ხორცშესხსაში რეჟისორს ძირითადად კარგ დახმარებას უწევს დეკორატიული გაფორმება (მხატვრები ო. ქიჩაიძე, ი. ჩიკვაიძე, ა. სლავინსკი) და დ. თორაძის მძაფრი დრამატიზმით აღსავსე მუსიკა. რეჟისორული გადაწყვეტის და აქტიური შესრულების თვალსაზრისით „თანამედროვე ტრაგედია“ მეტად საინტერესო ნაშეუვალია“.

რუსთაველის თეატრის კოლექტივი ბათუმში ყოფნის დროს ექსკურსიაზე იყო სარფში და აქარის მხარის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

სიხუში გასტროლები ათ დღეს გაგრძელდა. გასტროლებს ცხოვლად გამოეხმებურა პრესა, რადიო. პირველ წარმოდგენად ნაჩვენები იყო „ზღვის შვილები“. სოხუმელებმა ნახეს აგრეთვე „როცა ასეთი სიყვარულია“, „თანამედროვე ტრაგედია“ და „ქუთათურები“. ამ უკანასკნელი წარმოდგენის შესახებ „საბჭოთა აფხაზეთი“ წერდა: „ეს პიესა ჩვენს თანამედროვეობას ეხება. მისი პერსონაჟები ჩვენთვის ნაცნობი აღამიანები, ჩვენი თანამემამულენი არიან, რომლებსაც ყოველდღიურად ვხვდებით. ისინი არ ჰგვანან ერთმანეთს, სხვადასხვაა მათი პროფილი, ყოველ მათგანს თავის მეობა, თავისი სულიერი სამყარო, თავისი მრწამსი გააჩნია და როგორც პირად ცხოვრებაში განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისიგან, ასევე—საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, მათი ხასიათების

სხვაობა ხან უმნიშვნელო კონფლიქტს გამოიწვევს ხან კიდევ უფრო სერიოზულ ამბებში გადაიზრდება ზოლმე“ ამას მოსდევს სპექტაკლის კონკრეტული ანალიზი და შენსრულებელთა შექება.

საინტერესოა სოხუმელი პედაგოგის დ. გრაგოლის პატარა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: „ადრე თეატრები, ასე თუ შეიძლება ითქვას. ფონს გადიოდნენ ქლასიკოსების ხარჯზე, ცოტას ეუბნებოდნენ მაყურებელს გმირულ თანამედროვეობაზე. ამჯერად ეს თავიდანაა აცილებული. ამ დარგშიც პირველი სიტყვა თქვა რუსთაველის თეატრმა, რომელმაც გვიჩვენა ქეშმარიტი ხელოვნება, სწორედ ისეთი. დაბერება რომ არ უწერია.“

ბოლოს თეატრი ეწვია ქუთაისს. თეატრმა აქ ჩაიტანა მხოლოდ ორი („ფიროსმანი“, „ზღვის შვილები“) წარმოდგენა, წარმოდგენებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს.

რუსთაველის თეატრის კოლექტივმა ქუთაისში ხანმოკლე ყოფნის დროს რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩაატარა. მოიწყო ექსკურსია დიდი ქართველი მწერლის დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში. ამ დროს განსაკუთრებით გამოცოცხლებია იყო სოფ. სიმონეთში. ემზადებოდნენ მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო თარიღისათვის გარდა ამისა, თეატრი ეწვია ცნობილ გამოქვაბულს სათაფლიაზე. მოიწყო გულწრფელი და საინტერესო შეხვედრა თეატრსა და გვზ. „ქუთაისის“ თანამშრომელთა შორის.

წლებადღემა გასტროლებმა დაგვანახეს, თუ როგორი სიყვარულით და პატივისცემით ეცილება ჩვენი ხალხი თეატრის ყოველ წარმოდგენას, ყოველ აქტიორულ სახეს...

7 აგვისტოს დაამთავრა რუსთაველის თეატრმა გასტროლები. 11 სექტემბერს „ბახტრონიით“ დაიწყო ახალი, 1962-1963 წლის, სეზონი

გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის თეატრალური სეზონი 1962-1963 წელს დაგვირგვინდა მოძვერესპუბლიკებში სომხეთსა და აზერბეიჯანში.

5 ივნისიდან 9 ივლისამდე თეატრი ემსახურებოდა ამიერკავკასიის სამხედრო გარნიზონის ნაწილებს და ქალაქ ერევანის და სხვათა მცხოვრებლებს.

საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი „იყო მთვარის სონეტა“, „მოხუცი ბრწყინი“, „თამაში წრის გარეშე“, „უცხოური ჩემოდანი“, „ჩრდილოეთის მადონა“, „მესამე სიტყვა“, ს. ქელიძის, ა. რუბინის, კ. სურმაგას და ნ. ხატისკაციის დადგმით.

განსაკუთრებული შეფასება მიიღეს ნ. ბუჩინის რეჟისურაში, ი. მაქსიმოვამ, ლ. ზვეროვამ, ვ. სომინამ, ტ. ბულოუსოვამ, ვ. ზახაროვამ, ა. სმირანინმა, დ. სლავინმა, ა. გომიზაშვილმა, ა. ერმილოვამ, მ. პიასეცკიმ, ი. შეიჩუმა, ი. ზლოზინმა.

საგასტროლო მოგზაურობის დროს თეატრმა გასწია აგრეთვე დიდი საშეფო და სამხედრო-საშეფო მუშაობა: დახმარებას უწევდა თვითმოქმედებებს, აწყობდა შემოქმედებითს შეხვედრებს სამხედრო პართან და მუშა—მოსამსახურეებთან. ერთ—ერთ შემოქმედებითს შეხვედრაზე თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახ. მოღვაწემ ა. რუბინმა და რეს. დამსახ. არტისტმა გ. ვოლინცკმა

უამბეს საზოგადოებას თეატრის 30 წლის შემოქმედებითი გზის და თეატრის წამყვანი მსახიობების შესახებ.

მეტად საინტერესო და სასარგებლო რჩევები და მითითებები მიიღეს თვითმოქმედმა კოლექტივებმა როგორც რეპერტუარის შერჩევის, ისევე სცენური ხელოვნების დარგში. საგასტროლო მოგზაურობის დამთავრების შემდეგ თეატრმა მიიღო ბევრი ქების სიგელი და მადლობა.

საკმაოდ ფართოდ გამოგზაურა გასტროლებს ადგილობრივი პრესა. „ჩვენი მეგობრების ხელოვნება“, „დიდი წარმატება“, „ჩვენი მეგობრების სპექტაკლები“ ასეთი სათაურებით იბეჭდებოდა თბილი და მეგობრული რეცენზიები.

განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და თბილად ხედვებოდნენ ჩვენი თეატრის სპექტაკლებს სამხედრო ნაწილები.

გაზეთ „კომუნისტში“ „ალინინა: სომხეთში თბილისის გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის ჩამოსვლა მნიშვნელოვან მოვლენად ჩათვლება ჩვენი რისპუბლიკის ცხოვრებაში. ნიჭიერი კოლექტივის ხელოვნებას ტაშს უკრავდნენ ერევანის მშრომელები...“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის მორიგი საგასტროლო ტურნე მალალ შემოქმედებითს ღონეზე ჩატარდა.

სახელმწიფო თეატრის გასტროლები

გ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთათვის ისევე ნაცნობი, მახლობელი და საყვარელია, როგორც თბილისის მაყურებლისათვის. ამის უპირველესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ თეატრი ყოველ წელს მოგზაურობს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში და მაყურებელს უჩვენებს თავის სპექტაკლებს, ასე ვთქვათ, გასული სეზონის მუშაობის ანგარიშს აბარებს მათ. ასევე მოხდა 1961—1962 წლის თეატრალური სეზონის შემდეგაც.

თეატრი გაზაფხულის მიწურულშივე გაემგზავრა საგასტროლოდ დასავლეთ საქართველოსაკენ. გასტროლები დაიწყო 22 მაისს ქ. ზესტაფონში და გასტანა 3 სექტემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა სპექტაკლები ძირითადად უჩვენა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ქიათურასა და ცხაქიაში. გარდა ამისა, პარალელური გასვლით წარმოდგენები ჩატარდა: ხარაგაულში, თერჯოლაში, საჩხერეში, წულუკიძეში, წყალტუბოში, მიაიკოვსკიში, აბაშაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ქობულეთში, ქედაში, ოჩამჩირესა და გალში და ზემოთ დასახელებული ქალაქებისა და რაიონების ახლო მდებარე კოლმეურნეობებში.

სულ 105 დღის განმავლობაში თეატრმა მაყურებელს უჩვენა 189 წარმოდგენა, რომლებსაც 140000 მაყურებელი დაესწრო. ერთი შეხედვით თითქოს გასაოცრად გამოიყურება ეს ციფრები: 105 დღეში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 87-სა 189 წარმოდგენა ჩატარდა.

ეს მოხდა, ერთი მხრივ, პარალელური სპექტაკლების, ხოლო, მეორე მხრივ, დღის წარმოდგენების ხარჯზე. დღის წარმოდგენები კი განა მარტო კვირა-უქმე დღეებში იმარ-

თებოდა ბეშვებისათვის. თეატრს წინასწარ ჰქონდა გასტროლებს მყარი გეგმა და ყოველ ქალაქსა თუ რაიონში მხოლოდ გარკვეულ ხანს შეეძლო დარჩენა, წარმოდგენების ნახვის მსურველი კი ძალიან ბევრი იყო, ამიტომ, მშრომელთა მოთხოვნით, ქუთაისში, ზესტაფონსა და სამტრედიაში დღის წარმოდგენები საშუალო დღეებშიაც იმართებოდა.

ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს იმას, რომ გ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები ყველგან დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, ამის მიზეზები მრავალია, უმთავრესი კი შემდეგი: ჟანრის პოპულარობა, წარმოდგენების მხატვრული დონე და ის ფაქტი, რომ თეატრი საგასტროლო მოგზაურობისათვის დიდი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოემზადა.

როგორც ცნობილია, თეატრს უკვე რამდენიმე წელია არა აქვს საკუთარი შენობა და ამის გამო დროებით რეკინგზელთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პრობლემების სახლში უხდებოდა მუშაობა. აქ კი სცენა პატარაა მოუხერხებელი. თეატრის ხელმძღვანელობამ დირექტორი — ა. შანიძე, მთავარი რეჟისორი — შ. მესხი კარგად იცოდა, რომ თითქმის ყველგან, სადაც მას საგასტროლო წარმოდგენების ჩატარება მოუხდებოდა სცენა გაცილებით უფრო დიდი და სრულყოფილი, ვიდრე რეკინგზელთა სახლში. ამიტომ იყო, რომ გასტროლების წინ თეატრმა შეაკეთა, განაახლა და ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად შეცვალა კიდეც დეკორაციები, რითაც საგრძობლად ააძლია წარმოდგენების მხატვრული დონე.

საგასტროლო წარმოდგენების მხატვრულად სრულყოფაში დიდი როლი ითამაშა ორკესტრის გაძლიერებამაც. გასტროლების



პერიოდისათვის ორკეტრის დამატა რამდენიმე მალაკალიფიციური მუსიკისი და ამ რიცხვობრივმა გაზრდამ ძლიერ დიდი კვალი დაამჩნია მის ჟღერადობასაც. თეატრის საგასტროლო რეპერტუარში ჰქონდა 11 წარმოდგენა: მ. მელიორავის და ლ. ქუჭარბაის „სიმღერა თბილისზე“, „მხოლოდ შენ ერთს“ და „სამი უფროსის მსახური“, შ. ჯოჯუასა და ნ. ხუნწარიას „მეკარე“, ჯოჯუასა ო. რაზმიძის და ნ. მახარაშვილის ორი ქალიშვილის“ გ. ტაბიძის, ნ. ხუნწარიასა და ქართველიშვილის“ შვიი ზღვა და თეთრი ღამეები“, გ. ტაბიძისა და დ. კეცერაძის „ტროვბის ბადეში“, ა. კერესელიძისა და ბ. გამრეკელის „ჯაზომანია“ შ. აზმაიფარაშვილისა და პ. გრუზინსკის „რაკ ვინახავს ველარ ნახავ“ ა. ცვაკარის კომედიის მიხედვით, გ. კურტიდის, ალ. თაბარიძისა და ალ. კაქაქიშვილის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ დ. ერისთავის გოდველის მიხედვით და ბლოოს, ყველასათვის კარგად ცნობილი უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალა-ლან“.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დადგმებიდან განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა ჩვენნი თანამედროვეობის მსახველი სპექტაკლები, მათ შორის კი ყველაზე უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვა წარმოდგენებმა — „სიმღერა თბილისზე“, „მეკარე“ „მხოლოდ შენ ერთს“.

გ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედის თეატრის საგასტროლო სპექტაკლების ავტორები არიან: რეჟისორები შ. მესხი, ბ. გამოეკელი, არ. ჩხარტიშვილი და გ. ქართველიშვილი; დირიჟორები: მ. ბორჩხაძე, ქ. სირბილაძე და გ. კახიანი; მხატვრები: ფ. ლაპიაშვილი, ივ. ასკურავა ნ. ყაზბეგი, რ. თარხან-მოურავი, ლ. მუშქელიანი და ქორეოგრაფები: დ. მაჭავარიანი, ნიხ. შუბანიცილი და ს. ციმაკურიძე. ყველა ამათ, თეატრის წამყვანსა თუ ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად, შექმნეს მხატვრულად გამართული, ხალისიანი, საინტერესო წარმოდგენები და მაყურებლებს მოუტანეს სიხარული, მისცეს ჯანსაღი დასვენების საშუალება.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების — ე. ჩოხელის, ქ. კობახიძის, ბ. იანვარაშვილის, ე. გურაშვილის, თ. მერკვილაძის, ვ. სალარიძის, მ. ბერიაშვილის, ა. ტურიანიშვილის, მსახიობების — ო. ბახტაძის, ი. ქუთათელაძის, თ. ხელაშვილის, ზ. კახიანის და

სხვათა მიერ საინტერესოდ, დამაჯერებლად ზომიერების დაცვით გამოძერწილმა სახეობმა გაახარა მაყურებელი. თეატრის წამყვან მსახიობებს ღირსეულად უდგენენ მხარში ნიჭიერი ახალგაზრდებიც: უ. რატიანი, ლ. ჩიბალაშვილი, ი. ვასაძე, ნ. პეტრიაშვილი და ხ. ნარჩემაშვილი.

გარდა გვეგვით გათვალისწინებული თუ მაყურებლის დიდი ინტერესის დასაკმაყოფილებლად გვეგვის ზევით ჩატარებული წარმოდგენებისა, თეატრმა გასტროლების პერიოდში მოაწყო არაერთი შეხვედრა მაყურებელთან. შეხვედრებზე მშრომლები თავიანთ სურვილებსა და შენიშვნებს უზიარებდნენ თეატრის კოლექტივს. თეატრის მუშაკები კი, თავის მხრივ, მასპინძლებს აცნობდნენ თავიანთ მომავალ გეგმებსა და ესაუბრებოდნენ განვლილი მუშაობის შესახებ. ეს შეხვედრები, როგორც წესი, წარმოადგენით ან მრავალფეროვანი საინტერესო კონცერტით თავადრდებოდა. ასეთ შინაარსთან შემოქმედებით-შეხვედრებს როგორც მაყურებლისთვის, ისე თეატრისთვის დიდ სარგებლობა მოჰქონდა. შეხვედრები მოეწყო მრავალ კოლმეურნიობაში, სადაც თეატრის კოლექტივის სოციალისტური სოფლის მშრომლები მასპინძლობდნენ. შეხვედრები მოუწყვეს თეატრის ქიათურელმა მაღარაიელებმა და ქუთაისელმა ავტომშენებლებმა.

შეხვედრის ჩასატარებლად ქუთაისის ავტოქარხნის ტერიტორიაზე მოეწყო სპეციალური ესტრადა. აქ თეატრის კოლექტივი შეხვედა ავტომშენებელს აზრების ურთიერთ-გაზიარების, საქმიანი, სასარგებლო გასაუბრების შემდეგ თეატრის წამყვანი ძალების მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი.

ამ ფაქტმა, ისევე როგორც, სერთოდ, თეატრის გასტროლებმა, ფართო გამოხმარება ჰპოვა საზოგადოებრიობასა და პრესაში. საგასტროლო სპექტაკლებზე დაიწერა არაერთი ვრცელი სტატია თუ საინფორმაციო ხასიათის წერილი. თეატრის თითქმის ყოველ დადგმას რეცენზიით გამოეხმაურნენ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხაკაიასა და მთელი რიგი სხვა ქალაქებისა თუ რაიონების გაზეთები.

განსაკუთრებით საინტერესოა ვაზეთ „სახ. კოთა აჭარის“ 1962 წლის 15 აგვისტოს ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია აჭარის ასსრ უმადლეის საბჭოს პრეზიდიუმის ორი ბრძანებულება:

„ქ. ბათუმში 1962 წლის აგვისტოში გასტროლების მოწყობისა და მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლების ჩვენებისათვის ე. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი დაჯილდოვდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით“ 2. ე. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი და მოსამსახურე მუშაკები, რომლებმაც ბათუმში გასტროლების დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საზოგადოების მხატვრული მომსახურების საქმეში და მაცურების საერთო მოწონება დაიმსახურეს, დაჯილდოვდნენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით“.
(ჩამოთვლილია თეატრის 25 მუშაკი).

ეს ბრძანებულებები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ გარემოებას, თუ როგორი წარმატებით მიმდინარეობდა თეატრის გასტროლები და რა ფართო გამოხმაურებას პოეგებმისი შემოქმედება მაცურებელში. თეატრის ყველა წარმოდგენას მაცურებლის აღფრთოვანებული ტაშისცემა და შეძახილები ზღვედათან. ბილეთები წინასწარ იყო გაყიდული. „მაცურებლები მოითხოვდნენ დამატებითი წარმოდგენების ჩვენებას და მიუხედავად იმისა, რომ გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით უფრო მეტი წარმოდგენა იქნა ჩვენები, გულდაწყვეტილი მაინც ბევრდარჩა, რადგან ვერ ნახა სპექტაკლები.

დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს სსოვნისადმი მიძღვნილი

სამეცნიერო სენია

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 20 სექტემბერს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის სხდომათა დარბაზში ჩაატარა დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სენია.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების პრეზიდენტი წევრმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. მრეველიშვილმა. მან აღნიშნა: „დ. კლდიაშვილმა თავისი რეალისტური დრამატურგიით ახალი სიტყვა თქვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. სიუჟეტის შერჩევა, ხასიათების გამოკვეთა მან დიდ განზოგადებამდე აიყვანა. პატარა ადამიანებში დიდი მღელვარების ძიება, რაც ჯერ კიდევ იბსენმა დაიწყო, დ. კლდიაშვილმა ეს დიდი ოსტატობით განახორციელა“.

მოხსენება თემაზე „დავით კლდიაშვილი და ქართული თეატრი“ წაითხზა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ციციშვილმა.

„ქართველი ხალხის გამოჩენილ შვილთა, თქვა მომხსენებელმა, — და ეროვნული მწერლო ხის სახელოვან შემოქმედთა შორის დ. კლდიაშვილის დიდად საპატიო ადგილი უკავია, ქართული ლიტერატურის ან კლასიკოსისა და ამაგდარის შემოქმედება ახალი მიჯნა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის განვითარებაში. დ. კლდიაშვილის დრამატურგია იქცა იმ პოზიტიურ ნიდავად, რომელზედაც XIX ს. 90-იან წლებში აღმოცენდა ახალი ქართული თეატრი, ე. წ.“ ფსიქოლოგიური დრამის“ თეატრი, ვის შესაძირკველდაც დიდი ქართველი მსახიობი და რეჟისორი ლადო შესხიშვილი მოგვევლინა“.

მომხსენებელმა განიხილა ქართული კომედიოგრაფის განვითარების გზა და უმთავრესი

ეტაპები და განავითარა აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მისცა დასაწყისი კომედიათა ორიგინალური ქართული დრამატურგიის ისტორიას და რა ადგილი დაიკავა მან ჩვენი დრამატურგიის განვითარებაში.

გ. ციციშვილმა გააანალიზა დ. კლდიაშვილის დრამატურგია და აღნიშნა, რომ კლდიაშვილის მეოხებით შეიქმნა ახლებური ფორმისა და შინაარსის პიესები, აგებულნი ეროვნულ მასალაზე, გამსჭვალულნი ღრმა ფსიქოლოგიზმითა და უდიდესი სიყვარულით ადამიანისადმი.

„დაწყებული 1907 წლიდან, — განაგრძობს მომხსენებელი, — თბილისში და საქართველოს დაბა-ქალაქებში შეინიშნება გაცხოველებული ინტერესი კლდიაშვილის ნაწარმოებებისადმი. არის წლები, როცა დ. კლდიაშვილის პიესები თითქმის ყოველთვიურად იდგმებოდნენ. მრავალი რეცენზია უძღვნეს ამ სპექტაკლებს ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმაც განსაკუთრებით აღნიშნავენ თბილისის ქართული თეატრის, ქუთაისის დასისა და ავჭალის აუდიტორიის დადგმებს ცხრაასიანი წლების პრესა, რომელიც დიდი ქებით იხსენიებს შალვა დადიანისა და ვ. ზალახივადის ფილოპეს, ვ. შალიკაშვილის დარისპანს, ნ. გაბუნიას ეკას, ნუცა ჩხეიძის, ირინეს და ნატალია ჯავახიშვილის კაროენას.

დ. კლდიაშვილის პიესები მტკიცედ დამკვიდრდნენ რევოლუციამდელი ქართული თეატრის რეპერტუარში. ეს პიესები, ისევე როგორც კლდიაშვილის მოთხრობათა ინსცენირებები, დღემდის არ ჩამოსულან სცენიდან. დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები დადგმული იყო რევოლუციამდელი თეატრის მრავალ სახელოვან რეჟისორის მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. შესხიშვილის, ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას, ვალ. შალიკაშვილის, კ. ანდრონი-



კაჭვილისა და აკ. ფალავას დადგმები, ჩვენს დროში კი — შ. ლამბაზიძის, აკ. ვასაძის, დ. ანთაძის, კ. პატარიძის, პ. ფრანგიშვილის, მ. თუმანიშვილის და სხვათა დადგმები.

დ. კლდიაშვილის პიესები სამსახიობო ხელოვნების არაერთი ბრწყინვალე ნიმუშის საფუძვლად იქცნენ. ქართული თეატრის ისტორიაში, დაუფიქარი იქნება შ. დადიანის, ვასო ბალანჩივაძის, ალ. იმედაშვილის, აკაკი ვასაძის მიერ შექმნილი სახეები „ირინეს ბენდერებაში“.

ხშირად ამბობენ, — თქვა დასასრულს მომსენებელმა, — დ. კლდიაშვილის ჰუმორი არის ცრემლნარევი სიცილი, მაგრამ ფიქრობ რომ მის შემოქმედებაში ცრემლნარევი სიცი-

ლზე უფრო მეტი სიცილნარევი ტირილი ტირილი ადამიანის ბედზე, ტირილი უკუღმართი სოციალური სისტემის მიერ მსხვერპლად მოტანილ ადამიანზე და სიცილი იმათზე, ვისაც ასეთი ყოფა მარადიული ჰგონია. მაგრამ კლდიაშვილის ტირილი არ არის უსასოა და უნიმლო; იგი კაცთმოყვარე მხატვრის კეთილშობილური განცდაა“.

მოსენების შემდეგ სესიანე სიტყვებითა და საინტერესო მოვლენებებით გამოვიდნენ სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, საქ. სსრ სახალხო არტისტი პ. ფრანგიშვილი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით ჩხეიძე.

ნ ა ტ ა ლ ი ა ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

(დაბადების 80 წლისთავის გამო)

ავჭალის აუდიტორიამ დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრის განვითარებაში. აშ აუდიტორიის სცენაზე პირველად ქართულ ხელოვნებას ეზიარნენ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავდადებით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან დღესაც ისეთი გამოჩენილი მსახიობები, როგორიც იყვნენ: ნინო დავითაშვილი, ცაცა ამირეჯიბი, ნატალია ჯავახიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ოლღა ლევაია, ნიკო გოცირიძე, გ. ჯაბაური და ბევრი სხვა.

ავჭალის აუდიტორიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი სულისჩამდგმელი იყო მარიამ დემურია, რომელიც არ ზოგავდა ენერგიას, შრომასა და მატერიალურ შესაძლებლობას, რათა საქმე კარგად წარემართა. სწორედ ამ საზოგადო მოღვაწეს და უანგარო ძუშაკს უნდა ვუმაღლოდეთ ზემოთ დასახელებული მსახიობების აღმოჩენასა და შეკრებაში.

სხვებთან ერთად, ნატალია ჯავახიშვილი მარიამ დემურიას აღმოჩენილია.

ნატალია გრიგორის ასული ჯავახიშვილი დაიბადა 1882 წლის 7 სექტემბერს თბილისში, მუშის ოჯახში. სცენაზე პირველად გამოვიდა 1901 წელს ავჭალის აუდიტორიისთან არსებულ მოქმედ მუშა-ხელოსანთა დრამწრის წარმოდგენაში და შეასრულა მაშინკის როლი აქვსენტი ცაგარლის პიესაში „ციმბირელი“. ამის შემდეგ განაგრძობდა ამავე დრამწრეში მუშაობას. 1902 წელს მიიწვიეს მსახიობად თეატრში და სცენას არ მოშორებია გარდაცვალებამდე. უმუშავია შემდეგ თეატრებში: ქუთაისში, ქიათურაში, სოხუმში და შემდეგ თბილისში (რუსთაველის თეატრში).

საბჭოთა თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის თბილისში ჩამოსვლის პირველი დღიდან ნატალია ჯავახიშვილი გვერდით ამოუდგა საბჭოთა თეატრის ფუძემდებ-



ლების ჯგუფს და დიდი მონდომებითა და სიყვარულით ემსახურებოდა ქართული საბჭოთა თეატრის აღმავლობის საქმეს.

იგი ასრულებდა სახასიათო და კომიკური ხასიათის როლებს. იყო ინტუიციის მსახიობი, დიდად ნიჭიერი, ენერგიული და დისციპლინირანი.

ნატალიას ჯერ კიდევ რევოლუციამდელ თეატრში შესრულებული აქვს მრავალი როლი: „სიმახინჯეში“ — დარეჯანი, „მსხვერპლში“ — მარამი, „სტუმარ — მასპინძლობაში“ — მამიდა, „ლალატში“ — მაიკო, „ხანუმაში“ — ხანუმა და ქაბატო, „გრაფის ქვრივში“ — ეოზუენა, „უდანაშაულო — დამნაშავენი“ — გალჩინა, „მეუფება წყვდიადისაში“ — მატრონა, „დარისპანის ვასაქირში“ — კაროენა და სხვა.

ნ. ჯავახიშვილის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრში შესრულებული აქვს ბევრი წამყვანი როლი როგორც ორიგინალურ, ისევე რუსულ და ევროპულ პიესებში. შემდგომ იგი განაგრძობდა მუშაობას სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით.

ნატალია იყო მეუღლე ცნობილი რეჟისორისა და მსახიობის ვალერიან შალიკაშვილისა, რომელიც ადრე გარდაიცვალა.

პირადად მე ნატალია ჯავახიშვილს შეეხვადი 1907 წ. კიათურაში. მოწაფეებს ქუთაისში დრამატული წრე გვქონდა დაარსებული. სააღდგომო არდადაგების დროს განვიზრახეთ კიათურაში წასვლა ორი წარმოდგენის გასამართავად. მომზადებული გვქონდა ა. ცაგარელი „ქართველი დედა“ და ივანე გომართელის „ქოხში“, წინა დამით იქ ლადო შესნიშვილის გასტროლი ყოფილა და უთამაშია „ქაი გრაქი“. იმ დროში ზედიზედ წარმოდგენების გამართვა, და ისიც ლადოს შემდეგ ძნელი იყო. ამას თუ დუმიტებთ კოკისპირულ წვიმას, ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე,

დავდებოდით ჩვენ, ბავშვები. მაშინ შემოსავალი არ გვანტერებსება. ამ დროს კიათურაში მუშაობდნენ ვ. შალიკაშვილი და ნატალია ჯავახიშვილი. ჩვენდამი მათმა მოპყრობამ განცვიფრებაში მოგვიყვანა ყველანი: გვაშხენებდნენ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა... ახლაც არ ვიცი, სასულე-ორკესტრის წყალობით თუ სხვა მიზეზით თეატრი მაყურებლებით გაიჭედა. ცოლ ქმარი არ მოგვემოკრებია და დღესაც მადლობით ვიხსენებ ამ დიდი ხნის ამბავს.

1913 წელს პეტერბურგსა და მოსკოვში ჩამოვიდნენ ნატალია ჯავახიშვილი, ვ. შალიკაშვილი და ი. ზარდალიშვილი, რომლებმაც ორივე ქალაქში ითამაშეს დ. კლდიაშვილის „დარისპანის ვასაქირი“ ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დახმარებით. როგორც ცნობილია, დარისპანის როლის შესრულებაში შალიკაშვილს მეტოქე არ ჰყოლია და დღესაც არ ჰყავს ღირსეული შემცვლელი. ნატალია კი კაროენას ბრწყინვალე განმსახიერებელი იყო. კარგად განასახიერა ი. ზარდალიშვილმა ოსიკოს როლი. მათ დიდი წარმატება ხვდათ. იქ მყოფმა ქართველებმა დარუსებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ქართული თეატრის ნიჭიერი წარმომადგენლები.

1934 წელს ნატალია ჯავახიშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება, 1946 წელს კი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

1936 წელს დაჯილდოებული იქნა „საპატრიო ნიშნის ორდენით. 1946 წელს მედლით —“ მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში 1941—1945 წ.წ. მიღებული ჰქონდა საპატრიო სიგელები.

ნ. ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1950 წ. 2 სექტემბერს ქ. თბილისში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.



წლის III კვარტალში (ივლისი—აპრილი—სექტემბერი)

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც „მოამბის“ ამ ნომერშია გაშუქებული, რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრების კოლექტივებსა და კულტურის სახლებში ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

შემოქმედებითი საღამოების ციკლიდან მახარაძის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა ამავე თეატრის მსახიობის ვლადიმერ დოლიძის შემოქმედებითი საღამო დაბადების 55 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავის გამო (მომხ. თეატრმცოდნე კ. გაწერელია)

თიანეთის რაიონის სოფელ ორხევში და თვით თიანეთში 2 ოქტომბერს ჩატარდა მიტინგი საღამო ქართული საოპერო ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნიკო ქუმსიაშვილის დაბადების 70 წლისა და გარდცვალებიდან 20 წლისთავის გამო. სოფ. ორხევში დიდიდანვე თავი მოიყარეს რაიონის მშრომელებმა და თბილისიდან ჩასულმა სტუმრებმა. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა სპ. კ. პ. თიანეთის რაიონის პირველმა მდივანმა ანხ. მარიამ გონჯილაშვილმა, რომელმაც მოკლედ დაახასიათა ორხევის მკვიდრის ნიკო ქუმსიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, რესპ. სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე, ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე დ. ჯანელიძე, პოეტი ლადო სულაბერიძე და სხვ. ოპერის ორკესტრის მებრუნე მესრულებული იქნა ნიკოს საყვარელი არიები ქართული ოპერებიდან. იმავე დღის 4 საათზე თიანეთის კულტურის სახლში შედგა ნიკო ქუმსიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ამხ. მ. გონჯილაშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ ვრცელი მოხსენებით თმზაზე „ნიკო ქუმსიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, გამოვიდა პროფესორი გრ. ჩხიკვაძე.

საინტერესო მოვლენებით გამოვიდნენ დამსახურებული მასწავლებელი, პენსიონერი ვ. ჯიბლაძე, ნიკოს ქალიშვილი როდამ ქუმსიაშვილი, რესპ. სახ. არტისტი ზ. კრავიციანი, ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პ. მგ. რედაქტორი ო. ევაძე პოეტი ალ. გომიაშვილი, რესპ. სახ. არტისტი ვ. ნინიძე, ი. ბეჟანიშვილი და გ. გივაური.

დასასრულ სახელმწიფო ოპერის მსახიობთა და ადგილობრივი ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.


განხილულ იქნა სპექტაკლები გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრში—ლესინგის „ემილია გალოტი“ (თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე), ფოთის სახელმწიფო თეატრში—„ნაბიჭვრისა“ (თეატრმცოდნე ირ. ფაჩულია), სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართულ კოლექტივში „ბახტიონის“ (თეატრმცოდნე ვ. კიკნაძე), ილ. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის სახელმწიფო თეატრში—„დარსპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“, ყვარყვარე თუთაბერი“; „ამიღლებული სოფელი“, ოჯახური აურზაური“; და „მედაფდაფე ქალი“ (პოეტი-დრამატურგი ალ. ადამია) და სხვა.

საგარეჯოს სახალხო თეატრში განხილული იქნა სპექტაკლი „ნ. ბარათაშვილი“ (გ. იაქაშვილი) ახალციხის სახალხო თეატრში—„სად იყო. ჭკუა“ დრამატურგი აკ. დვეგიძე, ონის სახალხო თეატრში—„ოიდიპოსი მეფე“ (გ. იაქაშვილი და ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე ნ. გომიაშვილი) და სხვა.

წაითხული იქნა მოხსენებები: „სასცენო მეთვლეობა“—საგარეჯოს თეატრში (მომხს. გ. იაქაშვილი), ალ. ახმეტელის ცხოვრება და შემოქმედება—ონის სახალხო თეატრში (მომხს. ნ. გომიაშვილი), რეისორისა

და მსახიობის ურთიერთდამოკიდებულების
საკითხი“ — ცხაკაიასა და ზესტაფონის სახა-
ლხო თეატრებში (მომხს. ხელოვნ. დამსახ.
მოღვაწე ვ. მურღულია), „რეჟისორის მუშა-
ობა მსახიობთან“ — ცაგერისა და ამბროლაუ-
რის სახალხო თეატრში (მომხ. რესპ. დამსახ.
არტისტი დ. ხუციშვილი), „დავით კლდია-

შვილი ქართული თეატრი“ და „ქართული
საბჭოთა დრამატურგია“ — ბათუმის თეატრში
(მომხს. ალ. ადამია) და „რეჟისორის მუშაო-
ბა თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივში“
— მახარაძის რაიონის სოფ. ასკანის კულტუ-
რის სახლში (მომხს. რესპ. სახ. არტისტი ვ.
ნინიძე).





КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Журнала „МОАМБЕ“ № 3 — Орг. Грузинского Театрального Общества

Современность в текущем репертуаре театров республики

Театры Грузии все чаще обращаются к теме наших дней. Репертуар театров отличается жанровым многообразием и изобилием авторских имен: маститых и начинающих грузинских, русских и зарубежных

авторов. Тема современности — основная, ключевая тема в репертуаре театров республики 1962-63 г.

Разбор спектаклей Московского театра „Современник“

30 июня 1962 г. в помещении театра им. Грибоедова после окончания спектакля московского театра „Современник“ состоялся разбор гастрольных спектаклей театра, столь полюбившегося грузинскому зрителю. Докладчик театровед Натела Урушадзе последовательно, от спектакля к спектаклю прослеживает творческий путь

и художественные особенности молодежного театра „Современник“, вскрывая, тем самым „секреты“ его успеха.

В прениях выступили — М. Ольшаницкая, В. Анджапаридзе, О. Андроникашвили, Дм. Алексидзе. С ответным словом выступил главреж театра „Современник“ — О. Ефремов.

Гастроли Ордена Красного знамени Кировабадского гос. азербайджанского театра им. Джабарлы в Тбилиси

В статье подробно рассказывается о пребывании Кировабадского гос. театра им. Джабарлы в Тбилиси. Театральное Общество Грузии организовало диспут, на котором были подведены творческие итоги гастролей театра. Докладчик Р. Алиев отметил в своем выступлении как положительные, так и некоторые прегрешения художест-

венного порядка в искусстве азербайджанского театрального коллектива.

В прениях приняли участие: П. Прангишвили, Н. Кевлишвили, Ибрагимов и зрители. Со словами приветия и благодарности к присутствующим на диспуте обратились директор и главреж Кировабадского театра т.т. А. Сейф и Х. Алиев.

Гастроли Северо-осетинского театра в Тбилиси

Не раз приезжали в Тбилиси посланцы братских искусств народов СССР и каждый раз грузинская общественность встречала их с любовью и нескрываемым интересом к творчеству друзей. Статья представляет собой отчет, организованного Театральным Обществом Грузии общест-

венного разбора спектаклей Северо-осетинского музыкально-драматического театра. Докладчик М. Гоголашвили и выступившие в прениях М. Вахнянский, О. Чиджавадзе, И. Кавказяк, зритель Джиев по достоинству оценили искусство гостей.

Статья посвящена гастролям Кироваканского театра им. Абеяна. Творчество армянских деятелей искусства привлекало внимание как профессиональных, так и многочисленных зрителей г. Тбилиси. Репертуар театра, высокий уровень актерско-

го исполнения и постановочной культуры позволяет автору статьи видеть в коллективе Кировабаского театра им. Абеяна растущий, многообещающий творческий ансамбль.

Гастроли театра Оперы и балета им. З. Палиашвили в Ленинграде

Летом (июнь, июль) 1962 г. Тбилисский театр Оперы и балета им. З. Палиашвили гастролировал в Ленинграде. Это был второй приезд грузинского оперного театра в город Ленина. В статье подробно рассказывается о гастрольной программе те-

атра, о встречах с ленинградским зрителем и мастерами искусств и о высокой оценке данной ими профессиональному мастерству посланцев грузинской культуры — певцов, танцоров, музыкантов.

Гастроли театра им. К. Марджанишвили в Москве и Риге

В статье под таким заголовком дается подробный отчет о гастрольной поездке коллектива Марджановцев в Москву и Ригу. Спектакли театра пользовались большим и заслуженным успехом у московского и рижского зрителей. Центральные и республиканские газеты единодушно признавали высокий художественный уровень

работ театра, его режиссуры и всего актерского ансамбля.

На состоявшемся в ВТО разборе спектаклей театра, было отмечено, что талантливому коллективу театра, носящего имя Марджанишвили, под силу разрешение любых творческих задач, стоящих перед советским искусством.

Гастроли театра им. А. Грибоедова

Тбилисский драматический русский театр им. Грибоедова летом 1962 г. показывал свое искусство трудящимся братской Армении и Азербайджана. О том, что гастроли театра прошли с большим успехом

и на высоком художественно-профессиональном уровне, мы узнаем из небольшой статьи информационного характера, напечатанной в журнале.

Гастроли Тбилисского театра Музыкальной комедии им. В. Абашидзе

Показывать свое искусство не только тбилисскому зрителю, стало традицией театра Музыкальной комедии им. В. Абашидзе, который в минувшее лето гастролировал по городам и районам Зап. Грузии.

Популярность театра во время гастролей была столь велика, говорится в статье, посвященной этой поездке, что театр показал в два раза больше спектаклей, чем было намечено предварительной программой.

Исполнилось 100 лет со дня рождения великого грузинского писателя Давида Клядиашвили. В статье дается подробный отчет об организованной Театральным обществом Грузии научной сессии, посвященной этой знаменательной дате. Сессию вступительным словом открыл драматург М. Мрелишвили, отметивший большую художественную значимость драматургического наследия Д. Клядиашвили. На сессии с докладом на тему: „Д. Клядиашвили и грузинский театр“ выступил канд. фил.-наук Г. Цицишвили. Он говорил о путях

развития грузинской драматургии и о месте Д. Клядиашвили в истории грузинской комедиографии. Пьесы Д. Клядиашвили, также, как и инсценировки его повестей и рассказов не сходили с грузинской сцены со дня их написания и во многом способствовали развитию как грузинской оригинальной драматургии, так и выявлению ярких актерских индивидуальностей. На сессии с интересными воспоминаниями выступили Нар. арт. СССР А. А. Васадзе, Нар. арт. ГССР П. Я. Прайгишвили, и засл. деят. искусств Д. И. Чхеидзе.

Наталия Джавахишвили (к 80 летию со дня рождения)

Нар. арт. Груз. ССР Наталия Джавахишвили начала артистическую деятельность на сцене т. н. в. „Авчальской“ аудитории“. В последствии Н. Джавахишвили перешла на профессиональную сцену. Дол-

гие годы работала она под руководством К. А. Марджанишвили и А. В. Ахметели. Доброй памяти этой интересной актрисы посвящена статья, напечатанная в предлагаемом номере журнала.

Деятельность театрального общества Грузии за III квартал 1962 г. (июль—август—сентябрь)

О деятельности грузинского театрального общества за III-й квартал 1962 г. (хроника).

ს ა რ ჩ ე ე ი

თანამედროვეობა ჩვენი დრამატული თეატრების რეპერტუარში	3
მოსკოვის თეატრის „სოფრემენიკის“ სპექტაკლების განხილვა	6
კიროვობადის ჯ. ჯაბარლის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო დრამატული თე- ატრის გასტროლები თბილისში	9
ჩრდილოეთ-ოსეთის თეატრის გასტროლები	11
ნიჟნიური კოლექტივი	13
ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თე- ატრის გასტროლები ლენინგრადში	15
მარჯანიშვილის სახ. თეატრის გასტროლები მოსკოვსა და რიგაში	18
რუსთაველის თეატრის გასტროლები	23
ვრიბოედოვის თეატრის გასტროლები	25
ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის გას- ტროლები	26
დ. კლდიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია	29
ნატალია ჯავახიშვილი	30
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა 1962 წლის მესამე კვარტალში (ივლისი — აგვისტო — სექტემბერი)	32
ქრონიკა	34



СО Д Е Р Ж А Н И Е

	ст.
Современность в текущем репертуаре театров республики	3
Разбор спектаклей Московского театра „Современник“	6
Гастроли ордена Красного Знамени Кировбадского гос. азербайджанского театра им. Джабарлы в г. Тбилиси	9
Гастроли Северо-осетинского театра в Тбилиси	11
Скромный талантливый коллектив (по поводу гастролей Кировского театра им. Абеляна)	13
Гастроли театра Оперы и балета им. З. Палиашвили в Ленинграде	15
Гастроли театра им. К. Марджанишвили в Москве и Риге	18
Гастроли театра им. Руставели	23
Гастроли театра им. Грибоедова	25
Гастроли тбилисского театра Музыкальной комедии им. В. Абашидзе	26
Научная сессия, посвященная памяти им. Давида Кадияшвили	29
Наталия Джавахишвили (к 80 летию со дня рождения)	30
Деятельность театрального Общества Грузии за III квартал 1962 г. (июль—август—сентябрь)	32
Хроника	34

На правах рукописи

Т. О. Г.

В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1962

3 № (21)

Типография Театрального Общества Грузии, г. Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 3623

УЭ 07410

Тираж 200